ბატონიშვილის ბიბლიოთეკა

ციტირებისთვის:

გუგავა ნ., განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავებისა და დაცვის სტანდარტი საქართველოს სამინისტროებში, კვლევის ანგარიში, თბილისი, 2021

ელექტრონული იურიდიული ბიბლიოთეკა www.princelibrary.ge

შექმნილია USAID/PROLoG-ის ფინანსური ხელშეწყობით

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი

USAID ამერიკელი ხალხისგან

EAST • WEST MANAGEMENT INSTITUTE
კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში (PROLoG)

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი

ნატო გუგავა

განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავებისა და დაცვის სტანდარტი საქართველოს სამინისტროებში

კვლევის ანგარიში

სულხან-საბა ორბელიანის
უნივერსიტეტის გამომცემლობა

UDC(უაკ)342.7
გ-924

ნატო გუგავა

განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავებისა და დაცვის სტანდარტი საქართველოს სამინისტროებში, კვლევის ანგარიში

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2021

© ნატო გუგავა, 2021

© სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი, 2021

ISBN 978-9941-8-3650-3

სარჩევი

I. შესავალი 1

II. კვლევის მიზანი და მეთოდოლოგია 3

III. ძირითადი მიგნებები და დასკვნები 6

IV. მიღებული პასუხები 7

V. სამინისტროებში დასაქმებულ პირთა რაოდენობა – სტატისტიკური მონაცემები 13

VI. განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები, რომლებსაც ამუშავებენ სამინისტროებში 16

VII. განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავების საშუალებები 24

VIII. განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავების საფუძვლები 25

IX. განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების შენახვის ვადები და პერსონალურ მონაცემთა დამუშავება/დაცვის შიდა ორგანიზაციული დოკუმენტების არსებობა 29

X. განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დაცვაზე პასუხისმგებლობის განსაზღვრა და მონიტორინგი 38

XI. განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების აღრიცხვა/რეგისტრაცია და მონაცემთა დაცვისათვის განხორციელებული ორგანიზაციული/ტექნიკური ზომები 43

XII. ფაილური სისტემის კატალოგის წარმოება 55

XIII. სახელმწიფო ინსპექტორის მიერ სამინისტროებში 2015 –2020 წლებში განხორციელებული შემოწმებებისა და მოქალაქეთა განცხადებების განხილვის სტატისტიკა 61

XIV. რეკომენდაციები 71

დანართი №1 73

I. შესავალი

პერსონალური მონაცემების დაცვა და მასთან დაკავშირებული რისკები ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა თანამედროვე მსოფლიოსათვის. „პერსონალური მონაცემები ინტერნეტის ახალი ნავთობი და ციფრული სამყაროს ახალი ვალუტაა.“[1] 21-ე საუკუნეში ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება და ინტერნეტის სწრაფი გავრცელება, გლობალური ელექტრონული ვაჭრობა და სოციალური მედია, შესაძლებლობებთან ერთად, მნიშვნელოვან გამოწვევებს წარმოშობს პერსონალური მონაცემების დამუშავებისა და დაცვის თვალსაზრისით.

ქართული კანონმდებლობა პერსონალურ მონაცემთა ცნებას ჯერ კიდევ 2006 წლიდან იცნობს, როდესაც საქართველო შეუერთდა ევროპის საბჭოს 1981 წლის კონვენციას „პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ“. უფრო მოგვიანებით, საკანონმდებლო დონეზე პერსონალური მონაცემების დაცვის გარანტიების შექმნაში სახელმწიფომ რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა. 2011 წლის 28 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, რომელიც ძალაში შევიდა 2012 წლის 1 მაისს. 2013 წლის დასაწყისში პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის სახით საზედამხედველო ორგანო შეიქმნა.[2] 2019 წლის 10 მაისიდან კი პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის უფლებამონაცვლე გახდა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური, რომლის უფლებამოსილების მანდატი გაიზარდა და საქართველოში პერსონალური მონაცემების კანონიერებაზე ზედამხედველობასთან ერთად, მის უფლებამოსილებად განისაზღვრა სამართალდამცავი ორგანოს წარმო-

---

[1] Kuneva M., Keynote Speech, Brussels, 31 March 2009, <https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/SPEECH_09_156> [30.09.21].

[2] საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 ივლისის დადგენილება №180 „პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის საქმიანობისა და მის მიერ უფლებამოსილების განხორციელების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“.

მადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ჩადენილი ცალკეული დანაშაულების მიუკერძოებელი და ეფექტიანი გამოძიება. [3]

პერსონალური მონაცემების დაცვას საქართველოში განსაკუთრებული საგარეო პოლიტიკური მნიშვნელობაც გააჩნია, ვინაიდან საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესში, პერსონალური მონაცემების დაცვის მიმართულებით ქვეყანაში არსებულ მდგომარეობას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. 2013 წლის 29 ნოემბერს, საქართველოსა და ევროპის კავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შეთანხმებისა და 2014 წლის 27 ივნისს ხელმოწერილი ასოცირების ხელშეკრულების საფუძველზე, საქართველომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ევროპული სტანდარტების დანერგვისა და შესაბამისი საკანონმდებლო და ინსტიტუციური რე-ფორმების განხორციელების ვალდებულება აიღო.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხი, დროსთან ერთად, საქართველოსთვის უფრო აქტუალური ხდება. პერსონალური მონაცემების, მით უფრო, განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების გამოყენების მზარდი დინამიკა თავისთავად და უპირობოდ წარმოშობს მონაცემთა რეგულირებისა და შეფასების ეფექტური მეთოდების დანერგვის საჭიროებას. ისეთი მონაცემების დამუშავება, როგორიცაა პირის ჯანმრთელობა, ნასამართლობა, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, ბიომეტრიული თუ სხვა განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემები, მათი უნიკალური და, ხშირ შემთხვევაში, მუდმივი ხასიათის გათვალისწინებით, მონაცემთა დამმუშავებლის მხრიდან მოითხოვს საერთაშორისო თუ ქვეყნის შიდა კანონმდებლობით დადგენილი პრინციპებისა და მოთხოვნების სიღრმისეულ გაანალიზებას. განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების განსხვავებული მიზნითა და საფუძვლით დამუშავება პრაქტიკაში ხშირად წარმოშობს ამ მონაცემების დამუშავების აუცილებლობასთან დაკავშირებულ შეკითხვებს. სწორედ განსაკუთებული კატეგორიის პერსო-

[3] „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლი.

ნალურ მონაცემთა მოუწესრიგებელი და უკონტროლო დამუშავება ანდა დამუშავებული მონაცემების არასათანადო დაცვა ზრდის მონაცემთა დანაშაულებრივი მიზნებისათვის გამოყენების რისკებს და საფრთხის ქვეშ აყენებს პირის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას.

მონაცემთა დამმუშავებლის მიერ განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავებისას, ძალზედ მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, კანონიერების, ადეკვატურობისა და პროპორციულობის პრინციპების დაცვა, ხოლო მეორე მხრივ, დამუშავების საფუძვლისა და მიზნობრიობის განსაზღვრა, რაც წარმოადგენს კიდეც „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის რეგულირების სფეროს. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული კანონი უკვე 8 წელზე მეტია, რაც ძალაშია, მონაცემთა დამმუშავებელთა მხრიდან მისი მნიშვნელობის აღქმა ჯერ ისევ მხოლოდ კანონის ცნებების ზოგადი განმარტების ცოდნით შემოიფარგლება. საჯარო უწყებათა უმეტესი ნაწილი შორს არის მონაცემთა დამუშავება/დაცვის მაღალი სტანდარტის დანერგვისაგან და მხოლოდ კანონის მოთხოვნათა ზედაპირული და ფორმალური დაცვით კმაყოფილდება.

აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანად მივიჩნიე, საქართველოს სამინისტროებში განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავებისა და დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობის შეფასება და იმ რეალურად არსებული პრობლემების გამოკვეთა, რომლებიც კომპლექსურ მოწესრიგებას საჭიროებენ. მით უფრო, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიებისა და ბიოტექნიკის განვითარება თავისთავად ითხოვს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დაცვის მიმართულებით უფრო მეტი ყურადღების გამახვილებასა და დამატებითი საკანონმდებლო რეგულაციების შემოღების აუცილებლობას.

II. კვლევის მიზანი და მეთოდოლოგია

კვლევის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს სამინისტროებში განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავებისა და დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობის შესწავლა და იმის წარ-

მოჩენა, თუ რამდენად სერიოზულად ეკიდებიან სამინისტროები ამ კატეგორიის მონაცემთა დამუშავება/დაცვის საკითხებს მასშტაბურ, რისკების შემცველ სისტემებში და მათ დასაცავად ატარებენ, თუ არა შესაბამის ორგანიზაციულ-ტექნიკურ ზომებს. უფრო კონკრეტული მიზანი იყო პასუხის მიღება შემდეგ შეკითხვებზე:

ა) რომელ განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს, რა მოცულობითა და როგორი საშუალებებით ამუშავებენ სამინისტროები?

ბ) აქვთ სამინისტროებს განსაზღვრული და რეგულირებული განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავების საფუძვლები, ვადები, მონაცემებზე წვდომის წესები? არსებობს მონაცემთა დამუშავების პოლიტიკის განმსაზღვრელი შიდა სამართლებრივი დოკუმენტები და რამდენად შესაბამისობიაშია ისინი მოქმედ კანონმდებლობასთან?

გ) სამინისტროები რამდენად აღრიცხავენ განსაკუთრებილი კატეგორიის მონაცემების მესამე პირებზე გამჟღავნების შემთხვევებს?

დ) სამინისტროებში რამდენად არსებობს ადეკვატური, ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები განსაკუთრებილი კატეგორიის მონაცემების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად?

ე) სამინისტროები რამდენად ახდენენ სახელმწიფო ინსპექტორის დროულ ინფორმირებას ფაილური სისტემის კატალოგის წარმოების შესახებ და გარდა ინფორმირებისა, რამდენად რეალურად ახორციელებენ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების ინპლემენტაციასა და დაცვას საჯარო საქმიანობის განხორციელების პროცესში?

კვლევის ფარგლებში მნიშვნელოვანი იყო, ასევე, დაგვედგინა, რამდენად ეფექტიანია კონტროლის ის მექანიზმი, რასაც განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავების კანონიერებაზე სამინისტროებზე ზედამხედველობის კუთხით ახორციელებს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური. კვლევის მიზანს წარმოადგენდა მტკიცებულებებზე დაფუძნებული დასკვნების გამოტანა და რეკომენდაციების შემუშავება.

სამინისტროებსა და სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს დაეგზავნათ სპეციალური კითხვარები, რომელთა მეშვეობითც გამოთხოვილ იქნა საჯარო ინფორმაცია. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურიდან, ასევე, გამოთხოვილ იქნა 2015-2020 წლების იმ შემოწმებების/განცხადებების განხილვის სტატისტიკა და გადაწყვეტილების ასლები, რომლებშიც მონაწილე მხარეს წარმოადგენდნენ სამინისტროები. მიღებულ მასალასთან ერთად, კვლევის ფარგლებში დამუშავდა ნორმატიული აქტები და სხვა ინფორმაცია, მათ შორის, სახელმწიფო ინსპექტორის გადაწყვეტილებები.

კვლევის ობიექტს წარმოადგენდა 10 სამინისტრო. კერძოდ:

ა) განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

ბ) გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო;

გ) ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;

დ) თავდაცვის სამინისტრო;

ე) იუსტიციის სამინისტრო;

ვ) ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

ზ) რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო;

თ) საგარეო საქმეთა სამინისტრო;

ი) ფინანსთა სამინისტრო;

კ) შინაგან საქმეთა სამინისტრო.

სამინისტროებსა და სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში კითხვარები დაიგზავნა 2020 წლის 24 ივლისს. თუმცა, ქყვეყანაში „კორონავირუსის“ ეპიდემიიდან გამომდინარე, არსებული დისტანციური რეჟიმის გათვალისწინებით (როგორც ამას უწყებები თავადვე განმარტავდნენ), ცალკეული სამინისტროებიდან პასუხის მიღებას კანონით დადგენილ ვადაზე მეტი დრო დასჭირდა, კვლევის ანგარიშში მოცემული ინფორმაცია და დასკვნები შეეხება 2020 წლის აგვისტოდან 2020 წლის 31 დეკემბრამდე არსებულ მდგომარეობას.

III. ძირითადი მიგნებები და დასკვნები

განხორციელებული კვლევის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი მახასიათებლები:

1. განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება/დაცვის არსებული პრაქტიკით, სამინისტროთა უმრავლესობაში რიგი საკანონმდებლო ნორმების პრაქტიკული რეალიზაცია ჯერ არ დაწყებულა, არასათანადოდაა შეფასებული ამ კატეგორიის მონაცემების დამუშავება/დაცვის მნიშვნელობა და პრიორიტეტულობა;

2. სამინისტროებსა და მის დაქვემდებარებაში შემავალ სტრუქტურულ ერთეულებში განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება/დაცვის საკითხის მიმართ არ არსებობს სისტემური მიდგომა;

3. სამინისტროთა უმრავლესობას არ აქვს შემუშავებული განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავება/დაცვის მარეგულირებელი შიდა ორგანიზაციული პოლიტიკის ისეთი დოკუმენტი, სადაც შეფასებული იქნება მონაცემთა დამუშავების რისკები, მიზნები, საფუძვლები, შენახვის ვადები, განადგურებისა და დაარქივების წესები;

4. მხოლოდ საქართველოს შინაგან სამინისტროსა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შემადგენლობაშია ცალკე სტრუქტურული ერთეული, რომელიც პასუხისმგებელია სისტემაში პერსონალური მონაცემების დამუშავებისა და დაცვის კანონიერებაზე;

5. სამინისტროების მიერ მონაცემთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად გატარებული ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები უფრო მეტად ორგანიზაციული ხასიათისაა, სამინისტროების უმრავლესობაში არ ხდება სიტუაციის დეტალურ ანალიზი, სათანადო შეფასება და, აქედან გამომდინარე, დამუშავებული მონაცემების დაცვისათვის აუცილებელი და ადეკვატური ზომების გატარება;

6. ფაილური სისტემის კატალოგის წარმოების შესახებ სახელმწიფო ინსპექტორის ინფორმირება კანონდარღვევით ხორციელდება და ფორმალურ ხასიათს ატარებს. ხოლო, სახელმწიფო ინს-

პექტორის სამსახურის ელექტრონული რეესტრი ვერ უზრუნველყოფს სამინისტროების მიერ წარმოდგენილი ფაილური სისტემის კატალოგების შეტყობინებების კონკრეტული თარიღების დაფიქსირებას და შესაბამისად, კონტროლის ქმედითი მექანიზმით არ ხასიათდება.

IV. მიღებული პასუხები

2020 წლის 24 ივლისს კვლევაში მონაწილე საქართველოს ათივე სამინისტროში გაიგზავნა წერილი თანდართული კითხვარით (იხ. დანართი №1). ადრესატებს ეთხოვათ წერილზე თანდართული კითხვარის შევსება და კანონით დადგენილ ვადაში მოწოდება. მათ მიერ პასუხების მომზადებისას, დამატებითი კონსულტაციის საჭიროების შემთხვევაში, წერილშივე განისაზღვრა საკონტაქტო პირის სატელეფონო მონაცემები. მიუხედავად კითხვარის მცირე მოცულობისა, ზოგიერთი სამინისტროდან გაჭიანურდა პასუხის მიღება. კვლევის ფარგლებში სატელეფონო კომუნიკაცია გაიმართა თითქმის ყველა შემსრულებელთან, აქედან, ერთიანი პასუხი მივიღეთ მხოლოდ 8 სამინისტროდან, ხოლო საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ, მის მმართველობაში მყოფ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებსა და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებებს წერილით დაავალა კითხვარის შევსება/გადმოგზავნა.

გაგზავნილი კითხვარი არ შეავსო:

1. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შემდეგმა სტრუქტურულმა ერთეულებმა:

ა. სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ;

ბ. სსიპ - საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიის სამსახურმა;

გ. სსიპ - აკრედიტაციის ერთიანმა ეროვნულ ორგანომ - აკრედიტაციის ცენტრმა;

დ. სსიპ - ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტომ.

2. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შემდეგმა სტრუქტურულმა ერთეულებმა:

ა. სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტომ;

ბ. სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტომ.

რაც შეეხება ვადებს:

1. 8 სამინისტროდან პასუხი გამოიგზავნა კანონით დადგენილ ვადაში;

2. 2 სამინისტროდან პასუხი გამოიგზავნა დაგვიანებით:

ა. საქართველოს იუსტიციის სამინისტროდან - 2020 წლის 23 სექტემბერს;

ბ. საქართველოს ფინანსთან სამინისტროდან - 2020 წლის 10 დეკემბერს.

2020 წლის სექტემბრის თვეში საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან სატელეფონო კომუნიკაცია სამჯერ განხორციელდა, რა დროსაც სამინისტროს საქმისწარმოების სამსახურში განგვიმარტეს (საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირთან, სამინისტროს ვებგვერდზე მითითებულ ნომერზე დაკავშირება ვერ მოხერხდა), რომ ქვეყანაში „კორონავირუსის“ ეპიდემიის გავრცელების საფრთხის გათვალისწინებით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თანამშრომელთა უმრავლესობა გადაყვანილი იყო დისტანციურ რეჟიმზე, მათ შორის, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმეგებელი პირიც და საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის დადგენილი ვადების დაცვა ვერ მოხდებოდა. შესაბამისად, პასუხი გადმოგვეგზავნებოდა მისი მომზადებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან 2020 წლის აგვისტოს თვეში განხორციელდა სატელეფონო კომუნიკაცია, სადაც საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელმა პირმა განგვიმარტა, რომ სტრუქტურული ქვედანაყოფებიდან ელოდებოდა კითხვარისათვის საჭირო ინფორმაციას, რომლის მიღებისთანავე გადმოგვიგზავნებოდა გაერთანებულ ფორმაში მოთხოვნილი ინფორმაცია.

შევსებული კითხვარი თან ახლდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წერილებს.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ ისევე, როგორც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ, პასუხი გამოაგზავნა არაერთიანი ფორმით.

ჯამში, წერილობითი პასუხი მიღებულ იქნა ათივე სამინისტროდან.

დასმულ შეკითხვებს სრულად უპასუხა: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ[4], საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ[5], საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ[6] და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ[7].

არასრული პასუხები გადმოიგზავნა შემდეგი სამინისტროებიდან: საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო,[8] საქართველოს ფინანსთა სამინისტრო[9], საქართველოს იუსტიციის სამინისტრო[10], საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების

---

[4] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2020 წლის 03 აგვისტოს №MIA 9 20 01787144 წერილი.

[5] საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2020 წლის 12 აგვისტოს №MOD 3 20 00700091 წერილი.

[6] საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 2020 წლის 04 აგვისტოს №2727-01-2-202008041343.

[7] საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ 2020 წლის 14 აგვისტოს ელ.ფოსტით გამოგზავნილი შევსებული კითხვარი.

[8] საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს 2020 წლის 12 აგვისტოს №01/21223 წერილი.

[9] საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2020 წლის 10 დეკემბრის №08-02/154871 წერილი.

[10] საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2020 წლის 23 სექტემბრის №12790 წერილი.

სამინისტრო[11] და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო[12].

ფაქტობრივად, დასმულ კითხვებს არ უპასუხა: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ[13]. მისი პასუხები ზოგადი, აბსტრაქტული შინაარსისაა და საერთოდ არ შეესაბამება დასმულ შეკითხვებს. სამინისტრო ზოგადად მიუთითებს, რომ პირის პერსონალურ მონაცემებთან მიმართებით ხელმძღვანელობს „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით", „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონითა და სხვა შესაბამისი სამართლებრივი აქტებით, ხოლო მის დაქვემდებარებაში არსებული საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან დაკავშირებით სამინისტრო მიუთითებს, რომ, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი არის შესაბამისი კანონით, საქართველოს მთავრობის დადგენილებით ან კანონის საფუძველზე სახელმწიფო მმართველობის ორგანოს ადმინისტრაციული აქტით შექმნილი, საკანონმდებლო და სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისაგან განცალკევებული ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ, სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საჯარო საქმიანობას და ინფორმაციის მოწოდებისა და სტრუქტურული ერთეულებისთვის კითხვარის გადაგზავნის ნაცვლად მიმითითებს, მათგან დამოუკიდებლად გამოვითხოვო ინფორმაცია იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებიდან, რომლებიც წარმოადგენენ კვლევის ინტერესის საგანს.

---

[11]საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2020 წლის 28 ივლისის №08/5101 და 2020 წლის 27 ივლისის №08/5029 წერილები.

[12] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2020 წლის 04 სექტემბრის №01/10676 წერილი.

[13] საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2020 წლის 31 ივლისის №MES 4 20 0000652482 წერილი.

სამინისტრო ასევე განმარტავს, რომ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2011 წლის 30 დეკემბრის №229/ნ ბრძანების მე-2 მუხლით დამტკიცებული დებულების შესაბამისად, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა წარმოადგენს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომლის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს სამინისტრო და, ამავე დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, მისიის შესასრულებლად, მართვის სისტემის მიზანია, საქართველოს განათლების სისტემაში – საგანმანათლებლო სტატისტიკის წარმოება და გავრცელება.

სამინისტროებიდან მიღებული პასუხების გათვალისწინებით, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სამინისტროების ნაწილს დღესაც უჭირთ დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა, ნაწილი კი, იცავს რა საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის კანონით დადგენილ ვადებს, შემოიფარგლება ზოგადი ხასიათის პასუხებით და თავიდან ირიდებს პირდაპირი პასუხების გაცემას, ხოლო ზოგიერთი მათგანი ცდილობს განმარტოს კანონი იმგვარად, რომ თავი აარიდოს საჯარო ინფორმაციის მოწოდების ვალდებულებას. სამწუხაროა, რომ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის ძალაში შესვლიდან მე-8 და სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის დაარსებიდან მე-7 წელს პრაქტიკაში კვლავ ვხვდებით მონაცემთა დაცვის საკითხებზე ურთიერთსაწინააღმდეგო ხასიათის პასუხების გაცემას ან შეკითხვების იგნორირებას, რაც ცალსახად მიუთითებს სამინისტროებში, ერთი მხრივ, აღნიშნული კანონის ფორმალური ინპლემენტაციის პროცესზე, ხოლო, მეორე მხრივ, პერსონალურ მონაცემთა დამუშავება/დაცვის საკითხების ირგვლივ ცნობადობის ამაღლების საჭიროებაზე.

სამინისტროებიდან მოწოდებული ინფორმაციის გადამოწმების, შედარებითი ანალიზის განხორციელებისა და სამინისტროებზე კონტროლის მექანიზმის ეფექტიანობის განსაზღვრის მიზნით,

2020 წლის 24 ივლისს ინფორმაცია ასევე გამოვითხოვე სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურიდან. წერილში მითითებული შეკითხვების გარდა, უწყებას ეთხოვა, 2015-2020 წლების სტატისტიკისა და ამ პერიოდში სახელმწიფო ინსპექტორის მიერ განხორციელებული იმ შემოწმებისა და ინდივიდუალურ საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებების ასლების გადმოგზავნა, რომელთა მონაწილე მხარეს წარმოადგენდნენ სამინისტროები.

2020 წლის 27 ივლისს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურიდან მივიღე შუალედური პასუხი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საჭიროებების გამო, ინფორმაციისათვის ათდღიანი ვადის აუცილებლობის განსაზღვრის თაობაზე. 2020 წლის 07 აგვისტოს კი, საჯარო ინფორმაციის სრულყოფილად მოწოდების, დასამუშავებელი ინფორმაციისა და მონაცემების დიდი მოცულობის გათვალისწინებით, უწყებამ მოითხოვა დამატებითი დრო. 2020 წლის 13 აგვისტოს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა მოთხოვნილი ინფორმაცია და სახელმწიფო ინსპექტორის გადაწყვეტილებების ასლები დეპერსონალიზებული ფორმით გამოაგზავნა.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურიდან მიღებული პასუხებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სამსახური სამინისტროების მიერ განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების დამუშავება/დაცვაზე ეფექტიან მონიტორინგს ვერ უზრუნველყოფს. უფრო მეტიც, სახელმწიფო ინსპექტორის ინფორმირება ფაილური სისტემის კატალოგის წარმოების თაობაზე კონტროლის ქმედითი მექანიზმებით არ გამოირჩევა და მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს. ეს განპირობებულია, ერთი მხრივ, იმ გარემოებით, რომ სამსახურის ელექტრონული პროგრამა ვერ უზრუნველყოფს სამინისტროების მიერ წარმოდგენილი შეტყობინებებისა და შემდგომ ცვლილებების შეტანისას კონკრეტული თარიღების ასახვას, ხოლო მეორე მხრივ, თავად სამსახურის დამოკიდებულებით. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის განმარტებით, ის პრაქტიკა, რომელიც ამ წლების განმავლობაში დამკვიდრდა – ფორმალურია, რის გამოც „პერსონალურ მონაცემთა დაცვის

შესახებ“ საქართველოს კანონის ახალ პროექტში ფაილური სისტემის კატალოგების რეესტრის წარმოება გათვალისწინებული აღარ არის. წარმოდგენილი წერილის მიხედვით, სამსახურმა ვერ მოიძია ინფორმაცია სამინისტროების შემოწმების შესახებ ფაილური სისტემის კატალოგის წარმოებისა და ამ საკითხზე სახელმწიფო ინსპექტორის დროულ ინფორმირებასთან დაკავშირებით.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედება ვრცელდება საქართველოს ტერიტორიაზე ავტომატური და ნახევრად ავტომატური საშუალებებით მონაცემთა დამუშავებაზე, ასევე არაავტომატური საშუალებებით იმ მონაცემთა დამუშავებაზე, რომლებიც ფაილური სისტემის ნაწილია ან ფაილურ სისტემაში შეტანის მიზნით მუშავდება. ამდენად, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ საკანონმდებლო წინადადების სახით წარდგენილი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის ახალი პროექტი, რომელიც აღარ ითვალისწინებს ფაილური სისტემის კატალოგების რეესტრის წარმოებას, არ შეიძლება ჩაითვალოს მონაცემთა დაცვის მაღალი სტანდარტის დამკვიდრების ხელშემწყობ გარემოებად. პირიქით, ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ ამ მიზნებისთვის უკან გადადგმული ნაბიჯია, ვინაიდან პირდაპირ ეწინააღმდეგება სახელმწიფო ინსპექტორის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას – პრიორიტეტულად დაგეგმოს და ეფექტიანად განახორციელოს მონაცემთა დამმუშავებლის შემოწმება/ინსპექტირება, რისთვისაც უპირობოდ მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენს მონაცემთა დამმუშავებლის მხრიდან ინსპექტორის დროული ინფორმირება, თუ რომელ მონაცემებს, როგორი მოცულობით, რა მიზნითა და საფუძვლებით ამუშავებს იგი.

V. სამინისტროებში დასაქმებულ პირთა რაოდენობა – სტატისტიკური მონაცემები

წინამდებარე თავში წარმოდგენილი დასაქმებულ პირთა სტატისტიკა ეყრდნობა სამინისტროებიდან მიღებულ ინფორმაციას. ამა თუ იმ ორგანიზაციაში დასაქმებულ თანამშრომელთა რაო-

დენობა მინიმუმ განსაზღვრავს იმ გარემოებას, თუ რამდენი თანამშრომლის პერსონალურ და, მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს ამუშავებს კონკრეტული უწყება. აქვე მნიშვნელოვანია აღნიშნოს 2018 წლის 25 მაისს ძალაში შესული ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია („General Data Protection Regulation“), რომელიც აწესებს ევროპულ სტანდარტს პერსონალური მონაცემების დამუშვება/დაცვის მიმართულებით, თუმცა საქართველოსათვის შესასრულებლად სავალდებულო არაა. აღნიშნული რეგულაცია ორგანიზაციისათვის სავალდებულოდ მიიჩნევს პერსონალური მონაცემების დაცვის ოფიცრის დანიშვნას იმ შემთხვევაში, თუ ეს ორგანიზაცია რეგულარულად და სისტემატურად ახდენს დიდი რაოდენობით პირთა მონიტორინგს ან/და განსაკუთრებული კატეგორიის ან ნასამართლობასთან დაკავშირებულ დიდი მოცულობის მონაცემებს ამუშავებს.[14]

სწორედ იმის დასადგენად, რამდენი ადამიანის რეგულარულ და სისტემატურ მონიტორინგს ახორციელებენ სამინისტროები, გაგზავნილი კითხვარი მოიცავდა შეკითხვას, კითხვარის შევსების მომენტისთვის კონკრეტულ სამინისტროში დასაქმებული პერსონალის რაოდენობის შესახებ (მონაცემში ასახული უნდა ყოფილიყო, როგორც სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფებში, ასევე სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებებსა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში საშტატო ერთეულსა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ჯამური რაოდენობა). მიღებული პასუხების გათვალისწინებით, კვლევის პერიოდში სამინისტროებში დასაქმებულთა შემდეგი რააოდენობა დაფიქსირდა:

№	სამინისტროს დასახელება	დასაქმებულთა რაოდენობა
1.	საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	მონაცემები არ გამოაგზავნა

[14] ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის 37-ე-39-ე მუხლები.

2.	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	6044
3.	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო[15]	1927
4.	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	4 843
5.	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	8 444
6.	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო[16]	3457
7.	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	531
8.	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო	1096
9.	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	5228

[15] მოწოდებულ მონაცემებში ასახული არ არის სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს, სსიპ - საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიის სამსახურსა და სსიპ - აკრედიტაციის ერთიან ეროვნულ ორგანო - აკრედიტაციის ცენტრის თანამშრომელთა მონაცემები, ვინაიდან აღნიშნულ უწყებებს პასუხები არ გამოუგზავნიათ. პასუხი გამოაგზავნა, თუმცა კონკრეტულად ამ შეკითხვას არ უპასუხა სსიპ - ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტომ და სსიპ - აწარმოე საქართველომ.

[16] მონაცემებში ასახული არ არის სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოსა და სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოში დასაქმებულ პირთა მონაცემები, ვინაიდან აღნიშნული უწყებებს პასუხები არ გამოუგზავნიათ. პასუხი მივიღეთ, თუმცა კონკრეტულად ამ შეკითხვას არ უპასუხა სსიპ -საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრმა და სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმინობის რეგულირების სააგენტომ.

10.	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	38 339

მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ დასაქმებულ თანამშრომელთა რაოდენობა არაა საკმარისი იმის დასადგენად, ორგანიზაციები თუ რა მოცულობის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების რეგულარულ და სისტემატურ მონიტორინგს ახორციელებენ, წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემებიც საკმარისია იმ დასკვნის გამოსატანად, რომ აღნიშნული სამინისტროები არიან დიდი მოცულობის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამმუშავებლები.

VI. განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები, რომლებსაც ამუშავებენ სამინისტროებში

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი ცალკე განსაკუთრებული კატეგორიის დეფინიციით გამოჰყოფს და სპეციალურ გარანტიებს ადგენს ისეთი პერსონალური მონაცემების მიმართ, რომლებიც, მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე, განსაკუთრებულ კატეგორიას განეკუთვნება. აღსანიშნავია, რომ ამ ტიპის მონაცემთა უკანონოდ შეგროვებამ, შენახვამ ან გავრცელებამ შესაძლოა, შექმნას პირადი ცხოვრების ხელყოფის, ადამიანის დევნის, შევიწროების ან სხვაგვარი დისკრიმინაციის საფრთხე. სწორედ ამიტომაც, მნიშვნელოვანად მივიჩნიე იმის დადგენა, თუ რომელ განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს ამუშავებენ საქართველოს სამინისტროები. გაგზავნილი კითხვარით, სამინისტროებს მოეთხოვებოდათ, ჩამოთვლილთაგან შემოეხაზათ მხოლოდ ის მონაცემი, რომელსაც მათი უწყება ამუშავებდა. უნდა აღინიშნოს, რომ სამინისტროების ერთმა ნაწილმა თავი აარიდა ამ კითხვაზე პირდაპირი პასუხის გაცემას (კითხვარის შევსებასაც) და მხოლოდ ზოგადი პასუხით შემოიფარგლა. შესაბამისად, მიღებული ინფორმაციის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი:

1. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ არ უპასუხა აღნიშნულ შეკითხვას;

2. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ აღნიშნა, რომ განსაკუთებული კატეგორიის მონაცემებიდან ამუშავებს მხოლოდ პირის ნასამართლობასთან დაკავშირებულ მონაცემს;

3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და მასში შემავალი სტრუქტურული ერთეულებიდან შემოსული მონაცემების დამუშავების შედეგად დადგინდა, რომ უწყება ამუშავებს ჯანმრთელობის მდგომარეობასთან, სამედიცინო-ნარკოლოგიურ შემოწმებასთან, აღკვეთის ღონისძიების შეფარდებასთან და ნასამართლობასთან დაკავშირებულ მონაცემებს. ამასთან, მოწოდებული პასუხების შესაბამისად, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს არ ამუშავებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ - წიაღის ეროვნული სააგენტო[17], სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო[18], სსიპ - აწარმოე საქართველოში[19], სსიპ - ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო[20] და სსიპ - საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო[21]. რაც შეეხება სსიპ საქართველოს

---

[17] საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - წიაღის ეროვნული სააგენტოს 2020 წლის 12 აგვისტოს №22/324 წერილი.

[18] საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2020 წლის 05 აგვისტოს №03/1086 წერილი.

[19] საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - აწარმოე საქართველოში 2020 წლის 31 აგვისტოს №EG-3/523 წერილი.

[20] საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს 2020 წლის 04 აგვისტოს №01/199 წერილი.

[21] საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ -საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს 2020 წლის 31 ივლისის №02/331 წერილი.

ტურიზმის ადმინისტრაციას[22], მან აღნიშნა, რომ ამუშავებს მხოლოდ ნასამართლობასთან დაკავშირებულ მონაცემს და მის კომპეტენციაში არ შედის სხვა რომელიმე განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავება;

4. საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ კითხვარში მიუთითა, რომ ამუშავებს შემდეგი სახის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს: პირის ეთნიკურ კუთვნილებასთან, რელიგიურ მრწამსთან, ჯანმრთელობის მდგომარეობასთან, ნასამართლობასთან, ადმინისტრაციულ პატიმრობასთან, აღმკვეთი ღონისძიების შეფარდებასთან, საპროცესო შეთანხმების დადებასთან დაკავშირებულ და ბიომეტრიულ (თითის ანაბეჭდს) მონაცემებს;

5. საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ მიუთითა, რომ ამუშავებს ჯანმრთელობის მდგომარეობასთან, სამედიცინო-ნარკოლოგიურ შემოწმებასთან და ნასამართლობასთან დაკავშირებულ მონაცემებს;

6. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ზოგადი პასუხით შემოიფარგლა და მიუთითა, რომ სამინისტროს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში რეგისტრირდება იურიდიული/ფიზიკური პირის განცხადებები, რომელიც შეეხება ფიზიკური პირის შესახებ მონაცემებს და, განმცხადებლის მოთხოვნის შესაბამისად, შესაძლებელია შეიცავდეს ნებისმიერი სახის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემს. სამინისტროში შემავალი სტრუქტურული ერთეულებიდან მიღებული პასუხებით კი დგინდება, რომ სამინისტრო ამუშავებს პირის რასობრივ, ეთნიკურ, რელიგიურ მრწამსთან დაკავშირებულ მონაცემებს, ასევე, დანაშაულის მსხვერპლად აღიარებასთან, დაზარალებულად ცნობასთან, ჯანმრთელობის მდგომარეობასთან, პროფესიულ კავშირში გაწევრიანებასთან, ნასამართლობასთან, აღკვეთის ღონის-

[22] საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - საქართველოს ტურიზმის ადმინისტრაციის 2020 წლის 14 აგვისტოს №08/397 წერილი.

ძიების შეფარდებასთან და ადმინისტრაციულ პატიმრობასთან დაკავშირებულ მონაცემებს;

7. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ მიუთითა, რომ ამუშავებს ნასამართლობასთან, ადმინისტრაციულ პატიმრობასთან და აღკვეთის ღონისძიების შეფარდებასთან დაკავშირებულ მონაცემებს;

8. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ აღნიშნა, რომ ამუშავებს პირის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან და ნასამართლობასთან დაკავშირებულ მონაცემებს;

9. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ გვიპასუხა, რომ ამუშავებს ჯანმრთელობის მდგომარეობასთან, აღკვეთის ღონისძიების შეფარდებასთან, საპროცესო შეთანხმების დადებასთან და ნასამართლობასთან დაკავშირებულ მონაცემებს;

10. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, კითხვარში ჩამოთვლილი მონაცემების შემოხაზვის ნაცვლად, აღნიშნა, რომ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით, ფაილური სისტემების კატალოგები პერიოდულად მიეწოდება სახელმწიფო ინსპექტორს და იმ განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების სანახავად, რომელსაც სამინისტრო ამუშავებს, მიუთითა სახელმწიფო ინსპექტორის მიერ წარმოებული ფაილურ სისტემათა კატალოგების რეესტრის ვებ-გვერდის მისამართი.

სამინისტროდან მიღებული მონაცემების სიზუსტისა და სისრულის კვლევითი მიზნებისათვის, ინფორმაცია, ასევე, გამოთხოვილი იქნა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურიდან, რომელმაც კითხვაზე, – კონკრეტულად რომელ განსაკუთრებულ კატეგორიის მონაცემებს ამუშავებენ საქართველოს სამინისტროები, მოგვაწოდა არა კონკრეტულად მოთხოვნილი მონაცემები, არამედ სამინისტროების მიერ შევსებული ფაილური სისტემის კატალოგების ამობეჭდილი ვერსია[23].

[23] სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის 2020 წლის 13 აგვისტოს №SIS 8 20 00012932 წერილი.

სახელმწიფო ინსპექტორის მიერ წარმოებული ფაილურ სისტემათა კატალოგების რეესტრისა[24] და მოწოდებული ფაილური სისტემის კატალოგის ამობეჭდილი ვერსიის დამუშავების შედეგად დადგინდა, რომ:

1. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში შემავალი სტრუქტურული ერთეულები ამუშავებენ შემდეგი სახის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს: ბრალდების (სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური), ნასამართლობის (სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური, სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრი) ნარკოლოგიური შემოწმების (სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური, სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრი), ჯანმრთელობის მდგომარეობის (სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრი, სსიპ - აკაკი სურგულაძის სახელობის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ შემოქმედის საჯარო სკოლა, შპს ზოგადსაგანმანათლებლო არასახელმწიფო საერო მრავალპროფილიანი სკოლა „რეცა“), ეროვნების (სსიპ -მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი) და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შესახებ მონაცემებს (სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა). თუმცა, უნდა აღნიშნოს, რომ ეს მონაცემებიც არასრულია, ვინაიდან სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში ფაილური სისტემის კატალოგი შევსებული და წარდგენილი არ აქვს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაქვემდებარებაში შემავალ ყველა უწყებას;

2. სახელმწიფო ინსპექტორთან წარდგენილი ფაილური სისტემის კატალოგის მიხედვით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ნასამართლობის გარდა, ამუშავებს ჯანმრთელობის შესახებ მონაცემსაც;

3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ კითხვარში მოუთითა, რომ ამუშავებს ჯანმრთელობის მდგომარეობასთან და აღკვეთის ღონისძიების შეფარდებასთან

[24] იხ. ვებგვერდი: <https://catalog.pdp.ge/> [30.09.21].

დაკავშირებულ მონაცემებს, თუმცა ეს ინფორმაცია სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ფაილური სისტემის კატალოგის რეესტრში არ ფიქსირდება. ასევე, რეესტრში არ იძებნება სსიპ - საქართველოს ტურიზმის ადმინისტრაციის მიერ შევსებული ფაილური სისტემის კატალოგიც;

4. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, კითხვარით წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით, ნებაყოფლობითობის საფუძველზე, ამუშავებს პირის ეთნიკურ კუთვნილებასთან და რელიგიურ მრწამსთან დაკავშირებულ მონაცემებს, ასევე ბიომეტრიულ მონაცემებს თითის ანაბეჭდის სახით, თუმცა ეს ინფორმაცია სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ფაილური სისტემის კატალოგის რეესტრში არ არის მითითებული;

5. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში წარდგენილი ფაილური სისტემის კატალოგის დამუშავებით დადგინდა, რომ სამინისტრო, გარდა კითხვარით წარმოდგენილი მონაცემებისა, ამუშავებს შემდეგი სახის ინფორმაციას: კანონდარღვევისა და ბრალდების შესახებ (სსიპ - იუსტიციის სახლი), პროფესიული ორგანიზაციის წევრობის შესახებ (სამინისტრო, სსიპ - საქართველოს ნოტარიუსთა პალატა, სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო), ბიომეტრიული მონაცემები (სამინისტრო), რელიგიური ან ფილოსოფიური მრწამსის შესახებ, ყოფილი პატიმრის ბიოფსიქოსოციალური მდგომარეობის შესახებ (სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრი), რელიგიური ან ფილოსოფიური მრწამსისა და პოლიტიკური კუთვნილების შესახებ (სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო), თვალის ან თითის ბიომეტრული ანაბეჭდი, სქესობრივ ცხოვრებასთან, ადმინისტრაციულ პატიმრობასთან, პირისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდებასთან, პირთან საპროცესო შეთანხმების დადებასთან დაკავშირებით, ბრალდებულის/მსჯავრდებულის სამედიცინო დაწესებულებაში გადაყვანის შესახებ (სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო) და ეროვნების შესახებ (სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო);

6. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, გარდა კითხვარით წარმოდგენილისა, ასევე ამუშავებს ინფორმაციას კანონდარღვევისა და ბრალდების შესახებ და პაციენტისათვის გაწეული მომსახურების შესახებ (სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო);

7. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მონაცემების გადამოწმებისას აღმოჩნდა, რომ გარდა კითხვარში აღნიშნულისა, სამინისტრო ასევე ამუშავებს ნარკოლოგიურ შემოწმებასთან დაკავშირებულ მონაცემებს. ამასთან, სამინისტროს კითხვარში მითითებული აქვს, რომ ამუშავებს პირის ადმინისტრაციულ პატიმრობასთან ან აღკვეთის ღონისძიების შეფარდებასთან დაკავშირებულ მონაცემებს, რაც სამინისტროს მიერ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში წარდგენილ ფაილური სისტემის კატალოგში არ იძებნება;

8. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ კითხვარით წარმოდგენილი მონაცემების გადამოწმება ვერ განხორციელდა, ვინაიდან სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ფაილური სისტემის კატალოგის რეესტრში მონაცემები არცერთი პარამეტრით არ მოიძებნა. აღნიშნული მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ საგარეო საქმეთა სამინისტროს მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით სახელმწიფო ინსპექტორის ინფორმირება არ განუხორციელებია. აქვე უნდა ითქვას, რომ „საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში პერსონალური მონაცემების დამუშავების წესის შესახებ“ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2015 წლის 13 თებერვლის №01-34 ინდივიდუალური ბრძანების საფუძველზე, საკონსულო ფუნქციების განხორციელებისას, სამინისტრო ამუშავებს საზღვარგარეთ დაპატიმრებულ, დაკავებულ ან სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდულ საქართველოს მოქალაქეთა შესახებ საქართველოს სამართალდამცავი ორგანოებისათვის ინფორმაციის მიწოდებას შემდეგ შემთხვევებში: მესამე პირის მოთხოვნის საფუძველზე, საზღვარგარეთ დაკავებული საქართველოს მოქალაქის დაკავების პირობებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მოპოვებისას, საზღვარგარეთ

დაკავებული უცხოელის ექსტრადაციის ან მსჯავრდებულის გადაცემასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა-გადაწყვეტაში მონაწილეობისას, ტრეფიკინკის მსხვერპლის დახმარებისა და შესაბამისი ინფორმაციის კომპეტენტური ორგანოებისათვის მიწოდებისას და პირის ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის ახლო ნათესავებისათვის მიწოდებისას,[25] ასევე, კანონმდებლობით დადგენილი წესით პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემის, სახელმწიფო საზღვრის გადამკვეთი პირის იდენტიფიკაციისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მიზნებიდან გამომდინარე – ბიომეტრიულ მონაცემებსაც.[26] აქედან გამომდინარე, გარდა კითხვარში დაფიქსირებული მონაცემებისა, საგარეო საქმეთა სამინისტრო ზემოაღნიშნული ბრძანებით განსაზღვრულ მონაცემებსაც უნდა ამუშავებდეს, თუმცა ამის შესახებ ინფორმაცია სამინისტროს არ მოუწოდებია;

9. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში წარდგენილი ფაილური სისტემების კატალოგის მიხედვით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ამუშავებს მხოლოდ ნასამართლობის და ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ მონაცემებს, კითხვარში მითითებული სხვა განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავების შესახებ ინფორმაცია სახელმწიფო ინსპექტორის საიტზე არ იძებნება;

10. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ამუშავებს პირის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან, ნასამართლობასთან, ადმინისტრაციულ პატიმრობასთან, აღკვეთის ღონისძიების შეფარდებასთან, პირთან საპროცესო შეთანხმების დადებასთან, განრიდებასთან, დანაშაულის მსხვერპლად აღიარებასთან, დაზარალებულად ცნობასთან დაკავშირებულ მონაცემებსა და ასევე, ბიომეტრიულ და გენეტიკურ მონაცემს.

---

[25] „საქართელოს საგარეო საქმეთა სამინისტროში პერსონალური მონაცემების დამუშავების წესის შესახებ“ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2015 წლის 13 თებერვლის №01-34 ბრძანების მე-12 მუხლი.
[26] იქვე, მე-15 მუხლი.

სახელმწიფო ინსპექტორის ვებ-გვერდზე განთავსებულ ფაილურ სისტემათა კატალოგების რეესტრში სამინისტროებიდან მიღებული მონაცემების გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ ძალზედ პრობლემურია იმის ზუსტად განსაზღვრა, თუ რომელ განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს ამუშავებენ სამინისტროები. უწყებები ვერ აანალიზებენ განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების დამუშავების მნიშვნელობას და არ ახდენენ მათ ზუსტ იდენტიფიცირებას. სამინისტროები დაბალი პასუხისმგებლობით ეკიდებიან განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავების კუთხით კანონით დაკისრებულ ვალდებულებებს.

VII. განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავების საშუალებები

განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავებისას, მნიშვნელოვანია, შევაფასოთ, რა საშუალებებით ახორციელებენ მას სამინისტროები. უნდა აღინიშნოს, რომ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედება ვრცელდება მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე ავტომატური და ნახევრად ავტომატური საშუალებებით მონაცემთა დამუშავებაზე, ასევე, არაავტომატური საშუალებებით იმ მონაცემთა დამუშავებაზე, რომლებიც ფაილური სისტემის ნაწილია ან ფაილურ სისტემაში შეტანის მიზნით მუშავდება. გარდა აღნიშნულისა, ასევე იმ მონაცემთა ავტომატურ დამუშავებაზეც, რომელიც დანაშაულის თავიდან აცილებისა და გამოძიების, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და მართლწესრიგის დაცვის მიზნებისათვის სახელმწიფო საიდუმლოებას მიეკუთვნება, გარდა ამავე კანონით დადგენილი გამონაკლისებისა.[27] სწორედ იმისათვის, რომ დაგვედგინა სამინისტროებზე „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედების გავრცელების ფარგლები, კითხვარი ითვალისწინებდა შეკითხვას: რომელი სააშუალებებით ახორციე-

[27] „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლი.

ლებენ უწყებები განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავებას?

მიღებული პასუხების თანახმად, გამოიკვეთა შემდეგი:

ა) ავტომატური, ნახევრად ავტომატური და არაავტომატური საშუალებების გამოყენებით მონაცემებს ამუშავებენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

ბ) ავტომატური და ნახევრად ავტომატური საშუალებების გამოყენებით, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს ამუშავებს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, ხოლო არაავომატური საშუალებებით - საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო;

გ) საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ აღნიშნულ შეკითხვას პასუხი არ გასცა.

ამ ნაწილში, დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედება ვრცელდება ყველა სამინისტროზე. ის სამინისტროებიც კი, რომლებიც უთითებენ არაავტომატური საშუალებებით მონაცემთა დამუშავებაზე, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში ფაილური სისტემის კატალოგის წარდგენით, გვიტოვებენ საფუძველს ვარაუდისა, რომ ისინი ფაილური სისტემის კატალოგში შეტანის მიზნით ამუშავებენ არაავტომატური საშუალებებით განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს ან დამუშავებული მონაცემები ფაილური სისტემის შემადგენელი ნაწილს წარმოადგენენ.

VIII. განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავების საფუძვლები

განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების კანონიერად დამუშავების მიმართ მოქმედებს საერთო წესი,

რომლის თანახმადაც, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება აკრძალულია.[28] თუმცა, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით ზუსტად დადგენილია ის გამონაკლისი შემთხვევები, როდესაც ამ კატეგორიის მონაცემების დამუშავება შესაძლებელია. ამდენად, კითხვარში აისახა განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავებისათვის კანონით განსაზღვრული საფუძვლების ჩამონათვალი და სამინისტროებს ეთხოვათ, ჩამოთვლილთაგან მხოლოდ ის პუნქტები შემოეხაზათ, რომელზე დაყრდნობითაც ისინი პრქტიკაში ახორციელებენ განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების ხასიათის მონაცემების დამუშავებას. მიღებული პასუხები ზოგ შემთხვევაში იყო ზოგადი და ბუნდოვანი, ზოგ შემთხვევაში – ერთგვაროვანი. კერძოდ:

1. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ ზოგადად განმარტა, რომ მისი ფუნქციებიდან გამომდინარე, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემის დამუშავების საფუძველი შესაძლებელია იყოს სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის განათლების უფლების რეალიზება. ვინაიდან, განათლების ხელშეწყობის მიზნით, სამინისტრო მხარდაჭერის სხვადასხვა პროგრამებს ახორციელებს და აღნიშნული ითვალისწინებს გარკვეული კატეგორიის პირთა დაფინანსების შესაძლებლობას, ცალკეული კატეგორიისადმი კუთვნილების დასადგენად, პირები ვალდებულნი არიან წარმოადგინონ განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები, რომლის დამუშავების საფუძველს სოციალური პროგრამების დაფინანსების მიზნებისათვის, წარმოადგენს განმცხადებლის თანხმობა;

2. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს ამუშავებს შრომითი ვალდებულებების და ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე, მათ შორის, დასაქმების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

---

[28] „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი.

3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს ამუშავებს სუბიექტის წერილობითი თანხმობის საფუძველზე, შრომითი ვალდებულებების და ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე, მათ შორის, დასაქმების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა განათლების უფლების რეალიზების მიზნით;

4. საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავების საფუძვლად მიუთითა სუბიექტის წერილობითი თანხმობა, შრომითი ვალდებულებების და ურთიერთობის ხასიათი, დასაქმების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების საჭიროება და ჯანმრთელობის დაცვის ან დაწესებულების (მუშაკის) მიერ ფიზიკური პირის ჯანმრთელობის დაცვის მიზანი;

5. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს ამუშავებს შრომითი ვალდებულებების და ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე, მათ შორის, დასაქმების თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად;

6. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო შემოიფარგლა ზოგადი პასუხით და აღნიშნა, რომ ***ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, შემხვედრი საჭიროების გათვალიწინებით, კანონით გათვალისწინებული ლეგიტიმური საფუძვლების შესაბამისად, ახდენს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავებას.*** სამინისტროში შემავალი სტრუქტურული ერთეულებიდან მიღებული პასუხების თანახმად, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავება ხორციელდება სუბიექტის წერილობითი თანხმობით, შრომითი ვალდებულებებისა და ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე, დასაქმების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისა და მონაცემთა სუბიექტის ან მესამე პირის სასიცოცხლო ინტერესების (როდესაც მონაცემთა სუბიექტს მონაცემთა დამუშავებაზე თანხმობის გაცხადების ფიზიკური ან სამართლებრივი უნარი არა აქვს) დაცვის მიზნით; საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის, ჯანმრთელობის დაცვის ან დაწესებულების (მუშაკის) მიერ ფიზიკური პირის ჯანმრთელობის დაცვის/ჯანმრთელობის

დაცვის სისტემის მართვის/ფუნქციონირების აუცილებლობის მიზნით; იმ შემთხვევებში, როდესაც მონაცემთა სუბიექტმა, მათი გამოყენების აშკარა აკრძალვის გარეშე, მის შესახებ მონაცემები საჯარო გახადა და თუ მონაცემების დამუშავება ემსახურება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების განათლების უფლების რეალიზებას; „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული საკითხის განხილვისას, რაც გულისხმობს შემაკავებელი და დამცავი ორდერების გამოცემის მოთხოვნის უფლებას; „სამედიცინო სტატისტიკური ინფორმაციის წარმოების შესახებ“ ჯანდაცვის მინისტრის მიერ დამტკიცებული ბრძანების მიზნებისთვის;

7. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს ამუშავებს შრომითი ვალდებულებების და ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე, მათ შორის, დასაქმების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების მიზნით;

8. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშვების საფუძვლად დაასახელა სუბიექტის წერილობითი თანხმობა, შრომითი ვალდებულებების/ურთიერთობის ხასიათი და დასაქმების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების მიზანი;

9. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს ამუშავებს სუბიექტის წერილობითი თანხმობის საფუძველზე, შრომითი ვალდებულებებისა და ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე, მათ შორის, დასაქმების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების მიზნით. ასევე, მონაცემთა სუბიექტის მიერ მის შესახებ არსებული მონაცემების საჯაროობის (მათი გამოყენების აშკარა აკრძალვის გარეშე) გათვალისწინებით, გამოძიების ინტერესებისა და ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა პირადი საქმეების გაცნობის მიზნით. სამინისტროს მიერ შევსებულ ***კითხვარში, საფუძვლებად ასევე მითითებულია მონაცემთა დამუშავების შემდეგი ფორმულირება: „და სხვა“, თუმცა სხვა რა საფუძვ-***

ლით ხდება სამინისტროში მონაცემთა დამუშავება, არ არის დაკონკრეტებული;

10. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, შემოხაზვის ნაცვლად, პასუხში მიუთითა, რომ ***ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სამინისტროს დღის წესრიგში შეიძლება დაუდგეს სხვადასხვა განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლით განსაზღვრული სხვადასხვა საფუძვლით დამუშავების საჭიროება.*** ამასთან, ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავებისას, საფუძვლების საჭიროების არსებობა არ ვრცელდება საზოგადოებრივი უსაფრთხოების, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და დანაშაულის გამოძიების მიზნით მონაცემთა დამუშავებაზე, თუ საკითხი პირდაპირ და სპეციალურად რეგულირდება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით ან „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონით ან სხვა სპეციალური კანონით.

სამინისტროებიდან შემოსული ინფორმაციის საფუძველზე დგინდება, რომ რიგ შემთხვევებში, სამინისტროები თავს არიდებენ კითხვაზე პირდაპირი პასუხის გაცემას და შემოიფარგლებიან ზოგადი პასუხით, რიგ შემთხვევებში კი მიუთითებენ განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავების სხვა საფუძვლებს მაშინ, როცა ამ კატეგორიის მონაცემების დამუშავების საფუძვლები შეზღუდულია და განსაზღვრულია კანონით. აღნიშნული მიუთითებს იმ გარემობაზე, რომ სამინისტროებს ჯერ კიდევ არ აქვთ გაანალიზებული, მკაფიოდ განსაზღვრული და ჩამოყალიბებული, მათ სისტემაში რა საფუძვლებით ხორციელდება განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავება.

IX. განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების შენახვის ვადები და პერსონალურ მონაცემთა დამუშავება/დაცვის შიდა ორგანიზაციული დოკუმენტების არსებობა

განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავების მიზნობრიობის შეფასებასთან ერთად, მონაცემთა დამუშავების პრინ-

ციპების დაცვისა და ერთგვაროვანი პრაქტიკის დანერგვისათვის, სასურველია ორგანიზაციაში არსებობდეს შიდა პოლიტიკის დოკუმენტი, სადაც უწყების სპეციფიკის გათვალისწინებით, დეტალურად იქნება განსაზღვრული პერსონალურ მონაცემთა, მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავების ორგანიზაციულ-სამართლებრივი საკითხები. ამით თავიდან იქნება აცილებული, ერთი მხრივ, მონაცემთა უკონტროლო, არაადეკვატური და არაპროპორციული დამუშავება, ხოლო, მეორე მხრივ, მონაცემთა უსაფძვლო შენახვა და გამჟღავნება. ასეთი დოკუმენტების არსებობა მნიშვნელოვანია ისეთ მსხვილ მონაცემთა დამმუშავებლებში, როგორიცაა სამინისტროები. სწორედ ამ საკითხების გარკვევისა და შესწავლის მიზნით, კითხვარი მოიცავდა შემდეგ შეკითხვებს:

1. რა ვადით ინახავს სამინისტრო მის მიერ დამუშავებულ განსაკუთრებულ კატეგორიის მონაცემებს?

2. არსებობს თუ არა სამინისტროში პერსონალურ მონაცემთა დამუშავება/დაცვის მომწესრიგებელი რაიმე შიდა სამართლებრივი აქტი (ბრძანება, ინსტრუქცია, დებულება)?

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ ამ საკითხებზე ინფორმაცია არ გამოაგზავნა, ხოლო დანარჩენი სამინისტროებიდან მიღებული პასუხების შედეგად დადგინდა შემდეგი:

1. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს, ***კანონმდებლობის შესაბამისად***, ***ინახავს 75 წლის ვადით,*** თუმცა მონაცემთა დაცვის შიდა ორგანიზაციული დოკუმენტი სამინისტროს მიღებული არ აქვს;

2. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და მასში შემავალი სტრუქტურული ერთეულებიდან მიღებული პასუხებით ირკვევა, რომ განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა შენახვის ვადები ყველგან არაა ერთგვაროვანი. კერძოდ, ***სამინისტრო და სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტო***

მონაცემებს ინახავენ პირადი საქმეების შენახვის ვადით,[29] სსიპ - ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო[30] და სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო[31] - 75 წლით, სსიპ - სახმელეთო ტრანსპორტი - მუდმივად[32], სსიპ - ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის განვითარების სააგენტო[33] და სსიპ - საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო[34] კი კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც საჭიროა მონაცემების დამუშავებისთვის. რაც შეეხება მონაცემთა დამუშავება/დაცვის საკითხებზე შიდაორგანიზაციულ დოკუმენტს, ასეთი ხასიათის სამართლებრივი აქტი, როგორც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, ასევე მასში შემავალი სტრუქტურულ ერთეულებს მიღებული არ აქვთ;

3. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო *განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სხვადასხვა ვადით ინახავს, კერძოდ იმ ვადით, რომელიც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების მიზნის მისაღწევად. მაგალითად, „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო ოფისის საქმეთა*

---

[29] საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითრების სამინისტროს სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს 2020 წლის 04 აგვისტოს №01/1685 წერილი.

[30] საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითრების სამინისტროს სსიპ - ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტოს 2020 წლის 6 აგვისტოს №05-195 წერილი.

[31] საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითრების სამინისტროს სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს 2020 წლის 06 აგვისტოს №03-01/1636 წერილი.

[32] საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითრების სამინისტროს სსიპ - სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ 2020 წლის 28 ივლისს ელ.ფოსტით გამოგზავნილი შევსებული კითხვარი.

[33] საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითრების სამინისტროს სსიპ - ანაკლიის ღრმაწყლოვანი განვითარების სააგენტოს მიერ 2020 წლის 17 აგვისტოს ელ.ფოსტით გამოგზავნილი შევსებული კითხვარი.

[34] საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითრების სამინისტროს სსიპ - საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მიერ 2020 წლის 29 ივლისს ელ.ფოსტით გამოგზავნილი შევსებული კითხვარი.

ნაერთი ნომენკლატურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2019 წლის 30 დეკემბრის №752 ბრძანების შესაბამისად (განახლებადია ყოველწლიურად), პირადი საქმის შენახვის ვადაა 75 წელი. რაც შეეხება პერსონალურ მონაცემთა დამუშავება/დაცვის მარეგულირებელ შიდა სამართლებრივ აქტს, სამინისტრომ ასეთად დაასახელა „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2016 წლის 17 მაისის №35 ბრძანება, რომელიც ნორმატიულ აქტია და ხელმისაწვდომია საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე: www.matsne.gov.-ge. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მითითებული ბრძანება აწესრიგებს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების საქმიანობას და არ მოიცავს პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისა და დაცვის მარეგულირებელ საკითხებს. ამ ბრძანებით მხოლოდ ადმინისტრაციის დეპარტამენტის საჯარო ინფორმაციის სამმართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის განყოფილების უფლებამოსილებები განისაზღვრება და, შესაბამისად, ეს ბრძანება ვერ შეფასდება, როგორც განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავებისა და დაცვის სტანდარტების განმსაზღვრელი შიდაორგანიზაციული დოკუმენტი;

4. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი, ***განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს, პირად საქმეებთან ერთად, ინახავს 3 წლის ვადით, ხოლო შემდეგ გადასცემს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტის) საქმისწარმოების სამმართველოს.*** რაც შეეხება მონაცემთა დამუშავება/დაცვის საკითხებზე შიდაორგანიზაციული დოკუმენტის არსებობას, ამ კითხვას სამინისტრომ არ უპასუხა;

5. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო მონაცემებს ინახავს ***„დაწესებულებათა არქივების მუშაობის წესების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2007 წლის 15 ივნისის №174 ბრძანების შესაბამისად, სსიპ - საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი - პირად საქმეებს ინახავს 75 წლის ვადით, ხოლო სამედიცინო ბარა-***

თებს - 5 წლის ვადით[35], სსიპ - დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრი მონაცემებს ინახავს ელექტრონული ფორმატით სერვერზე მუდმივად[36], სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო - კანონმდებლობით დადგენილი ვადით[37], ხოლო სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო - საჭიროების გასვლიდან არაუმეტეს 5 წლისა[38]. რაც შეეხება მონაცემთა დამუშავება/დაცვის საკითხებზე შიდაორგანიზაციულ დოკუმენტს, ასეთი ხასიათის დამოუკიდებელი სამართლებრივი აქტი სამინისტროში არ არსებობს, თუმცა პასუხის თანახმად, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და მის სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში საქმისწარმოების (მათ შორის ელექტრონული სისტემის საშუალებით) განხორციელების უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 03 აგვისტოს №01-384/ო ბრძანებით მოწესრიგებულია საქმისწარმოების წესი, რომელიც კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტების შესაბამისად, ითვალისწინებს ინფორმაციის

---

[35] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ - კოორდინაციისა და დახმარების ცენტრის მიერ 2020 წლის 20 აგვისტოს. ელ. ფოსტაზე გადმოგზავნილი შევსებული კითხვარი.

[36] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ - დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის 2020 წლის 21 აგვისტოს №06/3553 წერილი.

[37] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს 2020 წლის 07 სექტემბრის №07/7028 წერილი.

[38] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს 2020 წლის 06 აგვისტოს №04/17550 წერილი.

კონფიდენციალობის დაცვას. სსიპ - დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი კი პერსონალურ მონაცემთა დამუშავება/დაცვის მარეგულირებელ შიდა სამართლებრივ აქტად მიუთითებს „სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის თანამშრომელთა პირად და პროფესიულ ინფორმაციასთან წვდომის შესახებ“ ცენტრის გენერალური დირექტორის 2019 წლის 07 ნოემბრის №06-223/ო ბრძანებას, რომელიც მხოლოდ თანამშრომელთა მხრიდან კონფიდენციალობის დაცვის პოლიტიკას განსაზღვრავს. რაც შეეხება სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს, იგი ასეთად მიიჩნევს სააგენტოს დირექტორის 2020 წლის 28 ივლისის №07-106/ო ბრძანებას „საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს შრომის შინაგანაწესის დამტკიცების თაობაზე“, თუმცა ამ დოკუმენტში პერსონალური მონაცემების დამუშავებისა და შენახვის თაობაზე რეგულაციები არ იძებნება. სააგენტო ასევე უთითებს 2020 წლის 24 აგვისტოს №07-125/ო ბრძანებას „საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ძალადობის მსხვერპლთა დახმარების ცხელ ხაზზე (116606) და ბავშვთა დახმარების ცხელ ხაზზე (111) განხორციელებული ზარების აუდიოჩანაწერ(ებ)ის დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის დირექტორის 2016 წლის 12 ოქტომბრის №07-143/ო ბრძანებას „სსიპ - ადამიანის ვაჭრობის (ტრეფიკინგის), მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ფილიალ „თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლში“ ვიდეოთვალთვალის განხორციელების წესის შესახებ“, რითაც წესრიგდება სატელეფონო ჩანაწერების დამუშავებისა და ვოდეოთვალთვალის განხორციელების წესები. ზოგადად, მისასალმებელია, რომ სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების

სააგენტოს მიღებული აქვს რიგი შიდა სამართლებრივი აქტები, რითაც წესრიგდება სატელეფონო ჩანაწერების დამუშავებისა და ვოდეოთვალთვალის წესები, თუმცა ეს დოკუმენტები ვერ ჩაითვლება იმ შიდა ორგანიზაციულ დოკუმენტად, რომელიც ემსახურება უწყებაში განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავებისა და შენახვის ერთგვაროვანი პრაქტიკის დანერგვას.

6. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო დამუშავებული პერსონალური მონაცემების შენახვის ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობს ***„დაწესებულებების საქმიანობის პროცესში შექმნილი ტიპობრივი მმართველობითი დოკუმენტების ნუსხის (მათი შენახვის ვადების მითითებით) დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის №72 ბრძანებით. მონაცემთა შენახვის სხვა ვა-დები კი განისაზღვრება სამინისტროში არსებული პერსონალურ მონაცემთა ბაზების შესახებ შევსებული ფაილური სისტემის კატალოგებით.*** პასუხის თანახმად, სამინისტროში პერსონალურ მონაცემთა დამუშავება/დაცვის მომწესრიგებელი შიდა სამართლებრივი აქტის გამოცემის საჭირება არ დამდგარა;

7. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ***პირად საქმეებს ინახავს 75 წლის ვადით, კონკურსანტებთან დაკავშირებულ მონაცემებს - 3 წლის ვადით, ხოლო სტაჟიორებისას - 1 წლის ვადით.*** წერილზე დანართის სახით სამინისტრომ წარმოადგინა „საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში პერსონალური მონაცემების დამუშავების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2015 წლის 13 თებერვლის №01-34 ბრძანება, როგორც მონაცემთა დამუშავებისა და დაცვის მარეგულირებელი შიდა სამართლებრივი დოკუმენტი. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ბრძანებაში პირდაპირ გადმოტანილია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის ზოგადი დებულებები და დოკუმენტზე, სამინისტროს სფეციფიკის გათვალისწინებით, დამატებულია შემდეგი თავები: სამინისტროს სისტემაში დასაქმებულ/დასასაქმებულ პირთა (მათ შორის სტაჟირებაზე და სასწავლო პრაქტიკაზე დიპლომატიური სამსახურის რეზერვში მყოფი პირები) მონაცემები, საკონსულო ფუნქციების განხორცი-

ელებისას მიღებული მონაცემები, უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მონაცემები, სამინისტროს კომპეტენციას მიკუთვნებული სხვა ფუნქციების შესრულებისას მიღებული მონაცემები, სამინისტროს სისტემაში ბიომეტრიულ მონაცემთა დამუშავება, სამინისტროს სისტემების შენობის ვიდეოთვალთვალი, ქვეყნის შიგნით მონაცემების გაცემა, მონაცემების სხვა სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციისათვის გადაცემა და მონაცემთა საიდუმლოება.[39] დოკუმენტი ზოგადი ხასიათისაა და არ განსაზღვრავს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა სამინისტროში დამუშავებული მონაცემების შენახვის ვადები, მონაცემთა განადგურებისა და დაარქივების წესი, მონაცემთა უსაფრთხოებისათვის დადგენილ ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომები და სხვა;

8. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური, ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური და სსიპ - საფინანსო ანალიტიკური სამსახური, ***„დაწესებულებების საქმიანობის პროცესში შექმნილი ტიპობრივი მმართველობითი დოკუმენტების ნუსხის (მათი შენახვის ვადების მითითებით)“ დამტკიცების შესახებ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის №72 ბრძანების შესაბამისად, დამუშავებულ განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს ინახავენ 75 წლის ვადით, ხოლო სსიპ - შემოსავლების სამსახური იმ მონაცემებს, რომელიც მოთავსებულია თანამშრომელ-თა პირად საქმეებში, ინახავს მუდმივად***. სამინისტროსა და მის სტრუქტურულ ერთეულებს პერსონალური მონაცემების დამუშავება/დაცვის მომწესრიგებელი შიდა სამართლებრივი ხასიათის დოკუმენტი მიღებული არა აქვთ. რაც შეეხება ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს, ***უწყება შიდა სამართლებრივი აქტით აწესრიგებს პასუხისმგებლობის ზომებს და არასამსახუ-***

[39] „საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში პერსონალური მონაცემების დამუშავების წესის შესახებ“ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2015 წლის 13 თებერვლის №01-34 ბრძანების მე-11-მე-18 მუხლები.

რებრივი მიზნებისთვის ინფორმაციის მოპოვების, დამუშავების, გამოყენების ან გავრცელების საკითხებზე რაიმე დარღვევის ან მართლსაწინააღმდეგო ფაქტის აღმოჩენის შემთხვევაში, საქმეს შესწავლის მიზნით უგზავნის სამსახურის შიდა ინსპექტირების სამმართველოს;

9. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიღებული აქვს შიდა სამართლებრივი აქტები. კერძოდ, „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ფაილური სისტემებისა და მათში არსებული მონაცემების შენახვის ვადების განსაზღვრის შესახებ“ - საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 23 იანვრის №53 და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში პერსონალური მონაცემების დამუშავებისა და დაცვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 30 მაისის №387 ბრძანებები, რითაც განსაზღვრულია სამინისტროს სისტემაში მონაცემთა დამუშავების რიგი საკითხები, მათ შორის, დამუშავებული მონაცემების შენახვის ვადებიც.

სამინისტროებიდან მიღებული პასუხების თანახმად, ირკვევა, რომ მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს აქვს შემუშავებული შიდაორგანიზაციული დოკუმენტი, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავებისა და დაცვის მიმართულებით ეფექტიანი და ერთგვაროვანი პრაქტიკის დანერგვა. რაც შეეხება „დაწესებულებების საქმიანობის პროცესში შექმნილი ტიპობრივი მმართველობითი დოკუმენტების ნუსხის (მათი შენახვის ვადების მითითებით)“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის №72 და „დაწესებულებათა არქივების მუშაობის წესების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2007 წლის 15 ივნისის №174 ბრძანებებს, რომელსაც რიგი სამინისტროები მონაცემთა შენახვის ვადების განსაზღვრის საფუძვლად მიუთითებენ, ზოგადია და აწესრიგებს მხოლოდ დაწესებულებების საქმიანობის პროცესში შექმნილი ტიპობრივი მმართველობითი დოკუმენტების ნუსხას (მათი შენახვის ვადების მითითებით), ამ დოკუმენტების გამოყენების წესს და სრულად არ მოიცავს სამინისტროს საქმიანობის პროცესში განსაკუთრებული კატეგორიიის მონაცემების დამუშავე-

ბა/დაცვის სტანდარტებს. შესაბამისად, აღნიშნული აქტები ვერ იქნება განხილული, როგორც განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავებისა და დაცვის მარეგულირებელი შიდა სამართლებრივი დოკუმენტები. საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ ზოგ სამინისტროსა და მასში შემავალ სტრუქტურულ ერთეულებში ერთი და იგივე ხასიათის მონაცემთა შენახვის ვადები სხვადასხვა დროით განისაზღვრება (მაგ., პირადი საქმე, ნასამართლობის შესახებ მონაცემი და სხვა). შესაბამისად, გაურკვეველია რა განაპირობებს ერთი და იმავე უწყებაში ერთი და იგივე ხასიათის მონაცემების შენახვისათვის სხვადასხვა ვადის დაწესებას? აღნიშნული ცალსახად მიუთითებს მხოლოდ ერთ გარემოებაზე: მიუხედავად იმისა, რომ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის ძალაში შესვლიდან 8 წელზე მეტია გასული, რიგ სამინისტროებში, კითხვარის შევსების მომენტისთვის, კანონის მოთხოვნათა ინპლემენტაცია არათუ განხორციელდა, არამედ არც კი დაწყებულა. ამ შეფასებას განაპირობებს თავად სამინისტროების დამოკიდებულებაც შიდაორგანიზაციული დოკუმენტის მიუღებლობაში, რომლის გარეშეც უწყებაში ერთგვაროვანი და კანონშესაბამისი პრაქტიკის დანერგვა პრაქტიკულად შეუძლებელია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მართალია, ეროვნული კანონმდებლობა სამინისტროებისთვის ამ ეტაპზე შიდაორგანიზაციული დოკუმენტის მიღების აუცილებლობას არ წარმოშობს, მაგრამ საერთაშორისო სტანდარტით, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პრაქტიკის კანონმდებლობასთან შესაბამისობის მისაღწევად, საკითხის მნიშვნელობისა და კომპლექსურობის გათვალისწინებით, აუცილებელ ინსტრუმენტად განიხილება მონაცემთა დაცვის შიდაორგანიზაციული პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავება და დანერგვა.

X. განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დაცვაზე პასუხისმგებლობის განსაზღვრა და მონიტორინგი

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონი, მიუხედავად პერსონალური მონაცემების დამუშავების ოდე-

ნობისა და მოცულობისა, ჯერ კიდევ არ ავალდებულებს საჯარო უწყებებს, შექმნან ცალკე სტრუქტურული რგოლი, რომელიც განახორციელებს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავების მიზნის, პრინციპების, საფუძვლებისა და მესამე პირებზე მათი გადაცემის კანონიერების შეფასებას. თუმცა, საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებითა და ადგილობრივი კანონმდებლობის ეფექტიანი ინპლემენტაციის მიზნით, ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ ისეთ საჯარო უწყებებში, როგორიც სამინისტროებია, სასურველი და აუცილებელია არსებობდეს ცალკე სტრუქტურული რგოლი, რომელიც შეასრულებს ზემოაღნიშნულ ფუნქციებს. შესაბამისად, კითხვარში გათვალისწინებული იქნა შეკითხვა, სამინისტროში არსებობს თუ არა ცალკე სტრუქტურული ერთეული, რომელიც ახორციელებს განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალურ მონაცემთა დამუშავება/დაცვაზე მონიტორინგს? დადებითი პასუხის შემთხვევაში, უწყებებს ეთხოვათ, მიეთითებინათ შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის დასახელება, იქ დასაქმებულ მოხელეთა რაოდენობა და ასევე იმის განმარტება, ეს სტრუქტურული ერთეული ცენტრალიზებულადაა თუ არა პასუხისმგებელი განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავებაზე (თუ სამინისტროში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებებსა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებსაც აქვთ ცალკე სტრუქტურული ერთეული, რომელიც ახორციელებს აღნიშნული მონაცემების დამუშავება/დაცვაზე მონიტორინგს). უარყოფითი პასუხის შემთხვევაში კი სამინისტროებს ეთხოვათ, დაესახელებინათ ის სტრუქტურული ერთეული, რომელიც ითავსებს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავება/დაცვაზე მონიტორინგის ფუნქციას.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ აღნიშნულ კითხვას არ უპასუხა, ხოლო სხვა სამინისტროებიდან მიღებული პასუხების შედეგად:

1. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში არ არსებობს ცალკე სტრუქტურული ერთეული, რომელიც ახორციელებს განსაკუთრებული კატეგორიის მონა-

ცემთა დამუშავება/დაცვაზე მონიტორინგს, ამ ფუნქციებს ითავსებს ადამიანური რესურსების მართვის სამმართველო.

2. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში არ არსებობს ცალკე სტრუქტურული ერთეული, რომელიც ახორციელებს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება/დაცვაზე მონიტორინგს. რაც შეეხება მასში შემავალ სტრუქტურულ ერთეულებს, მიღებული პასუხების მიხედვით, მხოლოდ სსიპ - საზღვაო ტრანსპოტის სააგენტოში პერსონალურ მონაცემთა დამუშავება/დაცვაზე მონიტორინგის ფუნქციას ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამმართველო ითავსებს;

3. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში, პერსონალურ მონაცემთა დაცვის მიზნით, 2016 წლიდან შეიქმნა ადმინისტრაციის საჯარო ინფორმაციის სამმართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის განყოფილება (განყოფილების უფროსი და ორი მთავარი სპეციალისტი), რომელიც პასუხისმგებელია სამინისტროს სისტემაში პერსონალური (მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის) მონაცემების დამუშავებაზე. აღნიშნული განყოფილების კომპეტენციაა: სამინისტროში პერსონალური მონაცემების დაცვის მდგომარეობის, არსებული სისუსტეებისა და რისკების შესწავლა, პერსონალური მონაცემების დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე რეკომენდაციების შემუშავება, გასატარებელი ღონისძიებების დაგეგმვა და ხელმძღვანელობასთან წარდგენა, პერსონალური მონაცემების დაცვა/დამუშავების საკითხებზე სამინისტროს თანამშრომლებისათვის რეკომენდაციების გაცემა, სამინისტროს თანამშრომელთა ტრენინგის ინიცირება და მის ორგანიზებაში მონაწილეობა, სახელმწიფო ინსპექტორის აპარატთან თანამშრომლობა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება;

4. საქართველოს იუსტიციის სამინისტროში არ არსებობს ცალკე სტრუქტურული ერთეული, რომელიც განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება/დაცვაზე მონიტორინგს ახორციელებს;

5. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში არ არსებობს ცალკე სტრუქტურული ერთეული, რომელიც განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება/დაცვაზე მონიტორინგს ახორციელებს. თუმცა, მხოლოდ სსიპ -სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტომ მიუთითა, რომ აღნიშნულ ფუნქციებს სააგენტოს მონიტორინგისა და პროექტების დიზაინის დეპარტამენტის მონიტორინგისა და შეფასების სამმართველო ახორციელებს;

6. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში არ არსებობს ცალკე სტრუქტურული ერთეული, რომლის უფლებამოსილებაში პირდაპირ იქნება განსაზღვრული პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე მონიტორინგი, თუმცა სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების დეპარტამენტის ადამიანური რესურსების მართვის სამმართველო, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, უზრუნველყოფს ფაილურ სისტემათა კატალოგების რეესტრში დამატებასთან დაკავშირებული შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას;

7. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში ცალკე სტრუქტურული ერთეული, რომელიც განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება/დაცვაზე მონიტორინგს ახორციელებს, არ არსებობს და ეს უფლებამოსილებები გადანაწილებულია სტრუქტურულ ერთეულებზე, მათი ფუნქცია-მოვალეობების მიხედვით;

8. საქართველოს ფინანსთა სამინისტროში იურიდიული დეპარტამენტის სამართლებრივი უზრუნველყოფისა და საქართველოს მთავრობასთან ურთიერთობის სამმართველოს თანამშრომელი ახორციელებს პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე მონიტორინგს და ამ მიმართულების ცალკე სტრუქტურული დანაყოფი სამინისტროში არ ფუნქციონირებს;

9. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში 2014 წლის ოქტომბერში სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) საჯარო ინფორმაციის სამმართველოს დაქვემდებარებაში შეიქმნა

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ზედამხედველობის ჯგუფი (ახლანდელი სახელწოდება – პერსონალურ მონაცემთა დაცვის ზედამხედველობის განყოფილება – 4 თანამშრომლის შემადგენლობით), რომელიც მონიტორინგს უწევს სამინისტროს სისტემაში პერსონალური მონაცემების დაცვას და აღნიშნული მიზნით, ახორციელებს პერიოდულ შემოწმებებს, შეისწავლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობას, არსებულ სისუსტეებსა და რისკებს, შეიმუშავებს პერსონალური მონაცემების დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე რეკომენდაციებისა და გასატარებელი ღონისძიებების გეგმებს, გასცემს რეკომენდაციებს სამინისტროს თანამშრომლებისათვის, ახორციელებს სამინისტროს თანამშრომელთა ტრენინგების ინიცირებას და მონაწილეობს მათ ორგანიზებაში, განიხილავს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების არასტანდარტულ შემთხვევებს და ამზადებს გადაწყვეტილებების პროექტებს. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ზედამხედველობის განყოფილება განიხილავს პერსონალურ მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებულ საკითხებს და გადაწყვეტილებას იღებს აღნიშნული მონაცემების შემცველი ინფორმაციის გაცემა/გამჟღავნების თაობაზე. ამასთან, რაიმე დარღვევის ან მართლსაწინააღმდეგო ფაქტის აღმოჩენის შემთხვევაში, საქმეს შესწავლისათვის გადასცემს სამინისტროს გენერალურ ინსპექციას (დეპარტამენტი). სამინისტროში პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული საკითხები (სამართლებრივი აქტის შემუშავება, პროექტის განხორციელება) სწორედ აღნიშნულ განყოფილებასთან თანხმდება. წერილში მითითებულია, რომ სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულებს, ტერიტორიულ ორგანოებს, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებსა და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებებს ჰყავთ შესაბამისი კომპეტენციის მქონე თანამშრომლები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან როგორც საჯარო ინფორმაციის გაცემაზე, ისე პერსონალური მონაცემების დაცვაზე და ამ მიმართულებით გავლილი აქვთ არაერთი კურსი სამინისტროს ადმინისტრაციისა თუ სხვა დანაყოფების მიერ ინიცირებული ტრენინგების ფარგლებში.

სამინისტროებიდან მიღებული პასუხების თანახმად, დგინდება, რომ ცალკე სტუქტურული ერთეული, რომელიც ახორციელებს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავების მიზნის, პრინციპების, საფუძვლებისა და მესამე პირებზე მათი გადაცემის კანონიერების შეფასებას, აქვს მხოლოდ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს. რაც შეეხება საგარეო საქმეთა სამინისტროს, მიუხედავად იმისა, რომ „საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში პერსონალურ მონაცემების დამუშავების წესის შესახებ" საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2015 წლის 13 თებერვლის №01-34 ბრძანების 26-ე მუხლით განსაზღვრულია სამინისტროს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის თანამდებობა და მისი ფუნქცია-მოვალეობები, სამწუხაროდ, პრაქტიკაში ამ ნორმის ინპლემენტაცია არ ხორციელდება და ფორმალური ხასიათს ატარებს. დანარჩენ სამინისტროებს ჯერ კიდევ სერიოზულად არ აქვთ გათავისებული განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავებისა და დაცვის საერთაშორისო პოლიტიკისა და სტანდარტების მნიშვნელობა.

XI. განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების აღრიცხვა/რეგისტრაცია და მონაცემთა დაცვისათვის განხორციელებული ორგანიზაციული/ტექნიკური ზომები

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით, მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია მიიღოს ისეთი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურებისაგან, შეცვლისაგან, გამჟღავნებისაგან, მოპოვებისაგან, ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისაგან, ასევე შემთხვევითი ან უკანონო დაკარგვისაგან. ამასთან, მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია უზრუნველყოს ელექტრონული ფორმით არსებული მონაცემების მიმართ შესრულებული ყველა მოქმედების აღრიცხვა, ხოლო არაელექტრონული ფორმით არსებულ მონაცემთა დამუშავებისას – მონაცემთა გამჟღავნებასთან ან/და ცვლილებასთან

დაკავშირებული ყველა მოქმედების აღრიცხვა.[40] კერძოდ, მონაცემთა დამმუშავებელმა უნდა განახორციელოს შემდეგი ინფორმაციის რეგისტრაცია: რომელი მონაცემი იქნა გამჟღავნებული, ვისთვის, როდის, რა სამართლებრივი საფუძვლით და ეს ინფორმაცია უნდა ინახებოდეს მონაცემთა სუბიექტის შესახებ მონაცემებთან ერთად მათი შენახვის ვადის განმავლობაში.[41] უნდა ითქვას, რომ კანონი არ განმარტავს ტერმინს „შესაბამისი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომები", რის გამოც ერთიანი უსაფრთხოების სტანდარტის დადგენა საკმაოდ რთულია, რადგან სხვადასხვა სახის და მოცულობის მონაცემები განსხვავებული დონის უსაფრთხოების სისტემის არსებობას საჭიროებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, კითხვარში დასმული იქნა შემდეგი კითხვები:

1. განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების გამჟღავნების შემთხვევაში, სამინისტრო თუ და, ამასთან, რა ფორმით ახორციელებს გამჟღავნებული მონაცემების რეგისტრაციას? დადებითი პასუხის შემთხვევაში, სამინისტროებს უნდა დაესახელებინათ ყველა მონაცემი, რის აღრიცხვასაც ისინი ახორციელებენ;

2. რა სახის ორგანიზაციულ და ტექნიკურ ზომებს ახორციელებს სამინისტრო მონაცემების შემთხვევითი და უკანონო განადგურების, შეცვლის, გამჟღავნების, მოპოვების, ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისა და შემთხვევითი/უკანონო დაკარგვისაგან თავის დაცვის მიზნით?

აღნიშნულ კითხვებზე სამინისტროების პასუხები იყო არაერთგვაროვანი. კერძოდ:

1. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ ამ შეკითხვას პასუხი არ გასცა;

2. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების გამჟღავნების შემთხვევა არ ჰქონიათ და, რაც შეეხება მათი დაცვის

---

[40] „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-17 მუხლი.

[41] იქვე, მე-18 მუხლი.

ორგანიზაციულ-ტექნიკურ ზომებს, ***მონაცემები დაცულია სპეციალურ საცავში.***

3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების გამჟღავნების შემთხვევა არ დაფიქსირებულა და, რაც შეეხება მონაცემთა უსაფთხოებისთვის დადგენილ ზომებს, ***დანერგილია IT უსაფრთხოების თანამედროვე სისტემები, დოკუმენტებთან წვდომა აქვს მხოლოდ შესაბამისი უფლებამოსილების მქონე თანამშრომლებს, კარი იკეტება საკეტით, შენობას იცავს დაცვა და მიმდინარეობს ვიდეოკონტროლი.*** სამინისტროში შემავალი სტრუქტურული ქვედანაყოფებიდან მიღებული პასუხებით,

ა) ***სსიპ - სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოში არ ყოფილა საჭიროება და, შესაბამისად, არ ახორციელებენ განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების რეგისტრაციას.*** რაც შეეხება მონაცემთა დაცვისათვის მიღებულ ორგანიზაციულ და ტექნიკური ზომებს – ***განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები მატერიალური სა-ხით ინახება სეიფში.***

ბ) სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტო არ ახორციელებს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების რეგისტრაციას, ხოლო რაც შეეხება მონაცემთა დაცვისათვის მიღებულ ორგანიზაციულ და ტექნიკური ზომებს, ასეთად ***მიუთითებენ დისციპლინური წარმოების დაწყების შესაძლებლობას იმ პირის მიმართ, რომლის მხრიდანაც ადგილი ექნება პერსონალური მონაცემების შემთხვევით და უკანონო განადგურებას, შეცვლას, გამჟღავნებას, მოპოვებას, ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებასა და შემთხვევით/უკანონო დაკარგვას.***

გ) სსიპ - საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო ***გამჟღავნების შემთხვევაში მატერიალური ფორმით ახდენს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების სახეობის, სუბიექტის მონაცემების, გამჟღავნების დროისა და გამჟღავნების საფუძვლის რეგისტრაციას.*** რაც შეეხება მონაცემთა დაცვისათვის გათვალისწინებულ ორგანიზაციულ და ტექნიკურ ზომებს, ასეთად მითითებულია ***შინაგანაწესით განსაზღვრული პა-***

სუხისმგებლობის ფორმები, ეცნობოს მაკონტროლებელ ორგანოს, კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი ღონისძიება.

დ) სსიპ - ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის განვითარების *სააგენტო არ ახორციელებს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების რეგისტრაციას.* რაც შეეხება მონაცემთა დაცვისათვის გათვალისწინებულ ორგანიზაციულ და ტექნიკურ ზომებს, აღნიშნული კითხვაზე პასუხი არ არის გაცემული.

ე) სსიპ - ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტოს უპასუხოდ აქვს დატოვებული განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების გამჟღავნებისა და რეგისტრაციის შესახებ კითხვები, თუმცა მიუთითებს რომ *განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები დაცულია ელექტრონული ფორმით.*

ვ) სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების გამჟღავნების შემთხვევაში, მატერიალური ფორმით აღრიცხავს გამჟღავნების დროს, საფუძველს და იმ სუბიექტის მონაცემებს, ვისზეც მოხდა გამჟღავნება. რაც შეეხება მონაცემთა დაცვას, სააგენტოში ფუნქციონირებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა, რის შედეგადაც აღნიშნულ პროგრამაში მონაცემთა ბაზების შექმნა ხორციელდება ავტომატურ რეჟიმში და წვდომა აქვს ავტორიზებულ მომხმარებელებს (იუზერებს). თანამშრომელთა არაავტომატური საშუალებებით დამუშავებულ მონაცემებზე წვდომა აქვს ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამმართველოს. ამასთან, *სააგენტოს გააჩნია საცავი და არქივი მეზღვაურთა პირადი საქმეების შესანახად, რომლის შენახვისა და უსაფრთხოების ზომები განსაზღვრულია სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს საქმისწარმოების ინსტრუქციით. სააგენტო აგრეთვე უზრუნველყოფს მეზღვაურთა დოკუმენტბრუნვის მართვის სისტემაში დაცული პერსონალური მონაცემების ძებნისა და დათვალიერების ოპერაციათა აღრიცხვას;*

4. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო *„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად, ამუშავებს ელექტრონულ რეესტრს, სადაც უთითებს, რომელი მონაცემი, ვისთვის, როდის და რა სამართლებრივი სა-*

ფუძვლით იქნა გამჟღავნებული. სამინისტრო ასევე, აღრიცხავს მონაცემების სახეობას, იმ სუბიექტის მონაცემებს, ვისზეც მოხდა გამჟღავნება, გამჟღავნების დროს, გამჟღავნების საფუძვლებს და ვინაობას, თუ ვისზე განხორციელდა მონაცემების გადაცემა, მონაცემთა სუბიექტზე თუ მესამე პირზე. მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით, თავდაცვის სამინისტროს შიდა და ინტერნეტ-ქსელში ინფორმაციული უსაფრთხოების კონტროლი ხორციელდება სამინისტროს შესაბამისი დანაყოფების ჩართულობით. *ინფორმაციული უსაფრთხოების აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფისთვის გამოიყენება სხვადასხვა სახის დაცვის მექანიზმები. სასერვერო ინფრასტრუქტურაზე წვდომის კონტროლი ხორციელდება როგორც ვიდეო სამეთვალყურეო, ასევე ბიომეტრიული დაშვების კონტროლის სისტემებით;*

5. საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ ამ შეკითხვებს არ უპასუხა;

6. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო *კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და მოქმედი რეგულაციების სრული დაცვით ამჟღავნებს მონაცემებს.* მიუხედავად მოთხოვნისა, სამინისტროს არ დაუკონკრეტებია, რომელ მონაცემებს და რა ფორმით ამჟღავნებს. *სამინისტრომ თავის პასუხში მიუთითა, რომ ფუნქციონირებს არქივი, ელექტრონულ მოწყობილობებთან წვდომის ლოგირებით, რაც უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას.*

რაც შეეხება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სიპებს, მათი პასუხები იყო განსხვავებული. კერძოდ,

ა) *სსიპ - საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი არ ახორციელებს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების რეგისტრაციას, რაც შეეხება მონაცემ-თა დაცვას, ცენტრი მონაცემების დამუშავებისას ხელმძღვანე-ლობს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის, „პაციენტის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის და „საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის*

შესაბამისად. ცენტრი აარქივებს მასალებს როგორც ელექტრონულად, ასევე მატერიალური სახით. დოკუმენტის ცვლილების, გამჟღავნების ან მოპოვების სურვილის შემთხვევაში პირს მოეთხოვება პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, ნათესაური კავშირის დამადასტურებელი მოწმობა (საჭიროების შემთხვევაში), გარდაცვალების მოწმობა (საჭიროების შემთხვევაში), სასამართლო განჩინება (საჭიროების შემთხვევაში). სასამართლო განჩინების წარმოდგენის შემდეგ გაიცემა დოკუმენტის დედანი, რაზეც დგება ამოღების ოქმი. ოქმს ხელს აწერს ცენტრის წარმომადგენელი და სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელი დოკუმენტის დედანის ამოღების შემთხვევაში. ასლი ინახება ცენტრის არქივში. ბ) ***სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების გამჟღავნების ინფორმაციას არეგისტრირებს დოკუმეტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში*** და მათ დასაცავად მიმართავს კანონმდებლობით დადგენილ ზომებს. სსიპ - სამედიცინო და ფარმაცეფტული საქმიანობის რეგულირების სააგენტო არ ახორციელებს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების გამჟღავნების შემთხვევაში მის რეგისტრაციას, რაც შეეხება დაცვას, ***მატერიალური ინფორმაცია ინახება დაცულ სეიფში.***

გ) სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების გამჟღავნების შემთხვევაში რეგისტრაციას არ ახორციელებს, რაც შეეხება მონაცემთა დაცვისათვის გატარებულ ორგანიზაციულ ზომებს, ბრძანებით განისაზღვრება ბაზებზე წვდომის უფლებამოსილების მქონე პირები, აღირიცხება მათი მოქმედებები და დამუშავებული მონაცემების მოცულობა. მესამე პირებზე მონაცემები გაიცემა მხოლოდ კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას, მემორანდუმისა და ხელშეკრულების საფუძველზე. მონაცემთა არამიზნობრივი და საფუძვლების გარეშე დამუშავებისათვის გათვალიწინებულია პასუხისმგებლობა.

დ) სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტო[42] *და სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების გამჟღავნებისას მათ რეგისტრაციას არ ახორციელებს.* რაც შეეხება მონაცემთა დაცვას, უპასუხოდაა დატოვებული შეკითხვა მონაცემთა ნებისმიერი ფორმით უკანონო გამოყენებისა და შემთხვევითი/უკანონო დაკარგვისაგან თავის დაცვის მიზნით სამინისტროს მიერ გატარებული ორგანიზაციული და ტექნიკური ზომების სახეების შესახებ;

7. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო *ელექტრონული ფორმით არსებულ მონაცემებს იცავს პერსონალური კომპიუტერების და ელექტრონული პროგრამების ლოგირების მექანიზმით, ხოლო არაელექტრონული ფორმით არსებული მონაცემები განთავსებული აქვს შესაბამისი პასუხისმგებელი პირების სამუშაო ოთახებში, რომლებიც იკეტება*. ამასთან, მატერიალური (დოკუმენტური) სახით არსებული დოკუმენტების შენახვისა და დაცვის კუთხით, სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს ეროვნულ არქივთან, ხოლო, რაც შეეხება *სერვერზე განთავსებულ ინფორმაციას, მისი დაცვა ხდება შესაბამისი წესით, გამოიყენება კომპიუტერული პროგრამები, რომლებიც უზრუნველყოფენ კომპიუტერული სისტემების დაც-ვას. სამინისტრო ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის შესაბამის ზომებს;*

8. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ უპასუხოდ დატოვა შეკითხვა განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების გამჟღავნება/რეგისტრაციის თაობაზე. რაც შეეხება მონაცემთა უსაფრთხოებას, *სამინისტრომ აღნიშნა, რომ ხელმძღვანელობს*

---

[42] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს 2020 წლის 17 აგვისტოს №02/10558 წერილი.

„საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციულ შენობაში და მიმდებარე ტერიტორიაზე უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის შესახებ“ მინისტრის №41 ბრძანებით, „საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში ინფორმაციული უსაფრთხოების ინსტრუქციის შესახებ მინისტრის №01-129 ბრძანებითა და „საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის საქმისწარმოების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ მინისტრის №198 ბრძანებით;

9. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების გამჟღავნებისა და რეგისტრაციის შესახებ დასმულ შეკითხვას არ უპასუხა, მხოლოდ *სსიპ - ანალიტიკურმა სამსახურმა მიუთითა, რომ განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების გამჟღავნების ფაქტი მათთან არ დაფიქსირებულა.* რაც შეეხება მონაცემთა უსაფრთხოებისთვის დაწესებულ ზომებს, *საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ - საფინასო ანალიტიკური სამსახურის მითითებით, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები მოთავსებულია თანამშრომელთა პირად საქმეებში, რომლებიც გარეშე პირთა შესაძლო წვდომისგან დასაცავად, განთავსებული აქვთ სპეციალურ საცავში (სეიფში). საცავის გასაღები ინახება სამსახურის პასუხისმგებელ თანამშრომელთან. თავის მხრივ, საცავი განთავსებულია ამ თანამშრომლის სამუშაო კაბინეტში, რომელიც ყოველი სამუშაო დღის დასრულების შემდგომ იკეტება საკეტით. კაბინეტის გასაღები ხელმისაწვდომია მხოლოდ კაბინეტში მომუშავე თანამშრომლებისათვის.* განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები, აგრეთვე, ინახება ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებულ სისტემაში (eHRMS), რომელიც საავტორიზაციო მექანიზმის სახით იყენებს მომხმარებელებისა და უფლებების ერთიან ელექტრონულ სისტემას (ePassport). *სისტემაში შესვლა დაცულია მომხმარებლის პირადი ნომრის, მომხმარებლის პაროლისა და ერთჯერადი ელექტრონული კოდირების აუთენტიფიკაციის მოწყობილობის (ე.წ. დი-ჯი-პასი) ან სისტემის მომხმარებლის ტელეფონის ნომერზე, მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით გაგზავნილი შესაბამისი კოდის კომბინაციით. ერთჯერადი ელექტრონული კოდირების აუთენტიფიკაციის მოწყობილობის*

(ე.წ. დი-ჯი-პასი) ან სისტემის მომხმარებლის ტელეფონის ნომერზე, მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით, გაგზავნილი შესაბამისი კოდი ერთჯერადია, რომელიც მოქმედებს ერთი ავტორიზაციის დროს და ამ კოდის ხელმეორედ გამოყენება შეუძლებელია. ყველა ოპერაცია დაცულია PIN კოდით. ავტორიზაცია ხორციელდება სპეციალურად დაცულ ვებ-გვერდზე, რომელიც მონაცემების გადასაგზავნად იყენებს HTTPS პროტოკოლს. ცენტრალური საავტორიზაციო სისტემა შემუშავებულია თანამედროვე საუკეთესო სადეველოპმენტო პრაქტიკის გათვალისწინებით და სისტემაში განხორციელებული ყველა ქმედება ლოგირდება. *სისტემის მონაცემთა ბაზები განთავსებულია სერვერულ ინფრასტრუქტურაზე, რომელიც დაცულია უსაფრთხოების პოლიტიკის პროცედურებით და ტექნიკური საშუალებებით. უსაფრთხოების პოლიტიკა ემყარება ISO 27000: 2005 ოჯახის სტანდარტებს, ხოლო ტექნიკური ინსტრუმენტები მოიცავს ქსელში შემოჭრის, ინფორმაციის გაჟონვის საწინააღმდეგო სისტემებს, ასევე ანტივირუსულ პროგრამულ უზრუნველყოფას. სერვერებიდან მომხმარებლამდე კავშირი ხორციელდება დაშიფრული SSL არხის მეშვეობით.* თავად ფინანსთა სამინისტრომ განმარტა, რომ ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის თანამშრომელთა სისტემაში შესვლა შესაძლებელია მომხმარებლის პირადი ნომრის, მომხმარებლის პაროლისა და ერთჯერადი ელექტრონული კოდის კომბინაციით, ხოლო *თანამშრომელთა პირადი საქმეები განთავსებულია სპეციალურ ოთახში, პირადი საქმეებისთვის განკუთვნილ კარადაში და ოთახის გასაღები ინახება სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის თანამშრომლებთან. თავის მხრივ, სპეციალური ოთახი განთავსებულია ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის თანამშრომლების სამუშაო ოთახის გვერდით, რომელიც ყოველი სამუშაო დღის დასრულების შემდგომ იკეტება საკეტით და გასაღები ხელმისაწვდომია მხოლოდ ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის თანამშრომლებისათვის.* საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში, პერსონალურ მონაცემთა გამჟღავნების რეგისტრაცია (გამჟღავნებული მონაცემის სახე, ინფორმაციის მომთხოვნი და მიმღები პირები, გამ-

ჟღავნების დრო), ხორციელდება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის პროგრამის მეშვეობით. მონაცემთა გამჟღავნების არასაკმარისი საფუძვლის ან/და არაუფლებამოსილი პირის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის შემთხვევაში, მიიღება გადაწყვეტილება პერსონალური მონაცემების გაცემაზე უარის თქმის შესახებ. მონაცემებს, მათი შემთხვევითი და უკანონო განადგურების, შეცვლის, გამჟღავნების, მოპოვების, ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისა და შემთხვევითი დაკარგვისაგან, საგამოძიებო სამსახური იცავს ინფორმაციული უსაფრთხოების სისტემის შესაბამისი მექანიზმებით. ამდენად, ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც პერსონიფიცირებულია, ექვემდებარება დაცვას ისეთი საფრთხეებისგან, როგორიცაა: არაავტორიზებული წვდომა, კოპირება, მოდიფიცირება, წაშლა, დაზიანება. ამასთან, საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლების სამსახურებრივ ინფორმაციასთან წვდომის მინიჭება და გაუქმება ხორციელდება მკაცრად განსაზღვრული პროტოკოლის შესაბამისად. საინფორმაციო ბაზებზე, ელექტრონულ სერვისებზე და ქსელზე წვდომა, კერძოდ, შიდა უწყებრივ ინფორმაციასთან წვდომის მინიჭება, ხდება შიდა სამსახურებრივი დოკუმენტაციის წარმოებით, ხოლო გარე წყაროებიდან ინფორმაციის მიღება – ამ კონკრეტული ინფორმაციის მფლობელ სხვა უწყებებთან ოფიციალური მიმოწერისა და მათ მიერ კონკრეტულ თანამშრომელზე დაშვების მინიჭების საფუძველზე;

10. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მითითებით, ***პერსონალურ მონაცემთა გამჟღავნების აღრიცხვიანობას (მათ შორის, გამჟღავნებული მონაცემების სახეობა, ინფორმაციის მომთხოვნი და მიმღები პირები, გამჟღავნების დრო) ახორციელებს საქმისწარმოების შესაბამისი ელექტრონული პროგრამის მეშვეობით*** და მონაცემთა გამჟღავნების საფუძველი მითითებულია შესაბამისი მოთხოვნის ამსახველ კორესპონდენციაში. რაც შეეხება იმ ორგანიზაციულ და ტექნიკურ ზომებს, რომლებიც მიღებულია სამინისტროს მხრიდან მონაცემების შემთხვევითი და უკანონო განადგურების, შეცვლის, გამჟღავნების, მოპოვების, ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისა და შემთხვევითი/უკანონო დაკარგვისაგან თავის აცილების მიზნით, ***„საქართველოს შინაგან***

საქმეთა სამინისტროს სისტემაში საინფორმაციო სისტემების უსაფრთხოებისა და საიმედოობის გაზრდის ზოგიერთი ორგანიზაციული ღონისძიებების შესახებ" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 22 ოქტომბრის №1378 ბრძანების თანახმად, სამინისტრო, უსაფრთხოებისა და საიმედოობის გაზრდის მიზნით, ახორციელებს სისტემაში არსებული საინფორმაციო სისტემების (კომპიუტერები, კომპიუტერული ქსელი, პროგრამული უზრუნველყოფა და ყველა არსებული კომპიუტერული რესურსი) ჩართვას (რეგისტრაცია) უსაფრთხოების დომენში. სამინისტროს მიერ დამუშავებული პერსონალური მონაცემები ინახება სამინისტროს ფაილურ სისტემებში კონკრეტული, მიზნის ადეკვატური და შესაბამისი სამართლებრივი აქტით დადგენილი ვადით და ამ ვადის გასვლის შემდეგ, ხდება მონაცემების წაშლა ან დაარქივება. სამინისტრო დამუშავებული ინფორმაციის ასლებს არ ქმნის, მაგრამ საინფორმაციო პორტალების მეშვეობით მონაცემების ყოველი კონკრეტული დამუშავებისას ხორციელდება ინფორმაციის ელექტრონული ჟურნალიზაცია, რითაც შესაძლებელია ინფორმაციის კონკრეტული დამმუშავებლის იდენტიფიცირება. სამინისტროში არსებობს ფაილური სისტემა, რომელიც შეიცავს მონაცემებს ინფორმაციის მარკირების (ე.წ. „ლოგირება") თაობაზე. ***სამინისტროში ინფორმაციული უსაფრთხოების სტანდარტები დადგენილია „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 5 სექტემბრის №680 და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციული უსაფრთხოების ცალკეული დოკუმენტების დამტკიცების შესახებ" შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 31 მარტის №243 ბრძანებებით.*** აღნიშნული სამართლებრივი აქტები ითვალისწინებს ინფორმაციული უსაფრთხოების რისკების მართვისა და ინფორმაციული აქტივების მართვის ცალკეულ საკითხებს, ასევე, სამინისტროს საინფორმაციო ბაზებზე, ელექტრონულ სერვისებზე და ქსელზე წვდომის კონტროლის პოლიტიკას, სამინისტროს ელექტრონული რესურსებისა და ქსელის მომხმარებელთა სახელების პოლიტიკას, ინფორმაციის კლასიფიცირების ზოგად წესებს და

სხვა მნიშვნელოვან საკითხებს. „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა საინფორმაციო პორტალზე განთავსებული ინ-ფორმაციის გამოყენების ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2012 წლის 24 აგვისტოს №709 ბრძანების თანახმად, სამინისტროს თანამშრომ-ლებს არასამსახურებრივი მიზნით ეკრძალებათ შიდა საინფორ-მაციო სისტემაში მონაცემების მოპოვება, გამოყენება ან გავრ-ცელება. ამავე ბრძანების თანახმად, სამინისტროს სტრუქტურუ-ლი ქვედანაყოფის, ტერიტორიული ორგანოს, სამინისტროს სა-ხელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებებისა და სამინისტროს სის-ტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების ხელმ-ძღვანელებს ეკისრებათ ვალდებულება, სამინისტროს საინფორმა-ციო რესურსებთან შესაბამისი დონის დაშვების მქონე თანა-მშრომლის მიერ პორტალზე არსებული ინფორმაციის არასამსა-ხურებრივი მიზნით მოძიების, გამოყენებისა და გავრცელების შესახებ ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობონ სამინისტროს გენერალურ ინსპექციას. მნიშვნელოვანია, რომ პასუხისმგებლობა პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე თითო-ეულ თანამშრომელს ინდივიდუალურად ეკისრება.

მიღებული პასუხების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სამი-ნისტროთა უმეტესობას არათუ არ გაუტარებია მონაცემთა უსაფრთხოებისათვის აუცილებელი ორგანიზაციული და ტექნიკუ-რი ზომები, არამედ არ გააჩნია საჭირო ცოდნა ისეთ საკითხებზე, როგორიცაა დამუშავებული მონაცემების რისკების ადეკვატური უსაფრთხოების სისტემა. ამას ადასტურებს იმ სამინისტროებისა და მათ დაქვემდებარებაში შემავალი სტრუქტურული ერთეულე-ბის პასუხები, რომლებიც მონაცემთა უსაფრთხოების მიზნით გატარებულ ორგანიზაციულ-ტექნიკურ ზომებზე ერთმინიშვნე-ლოვან უარყოფით პასუხს არ იძლევიან და მიუთითებენ მონაცემ-თა დაცვის ისეთი სახის ზომების არსებობაზე, როგორიცაა ***მონაცემთა სპეციალურ საცავში დაცვა, სეიფში დაცვა, დოკუ-მენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში დაცვა, ელექტრონულ მოწყობილობებთან წვდომის ლოგირება და სხვა.*** უნდა აღნიშნოს, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ზომები ორგანიზაციული ხასიათის დამ-

ხმარე ინსტრუმენტებია და ვერ შეფასდება, როგორც ძირითადი, საკმარისი, ადეკვატური და ეფექტიანი საშუალებები განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების უსაფრთხოების დასაცავად.

XII. ფაილური სისტემის კატალოგის წარმოება

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სამინისტრო ვალდებულია, თითოეულ ფაილურ სისტემასთან დაკავშირებით აწარმოოს ფაილური სისტემის კატალოგი, რაც გულისხმობს ფაილური სისტემის სტრუქტურისა და შინაარსის დეტალურ აღწერილობას. კატალოგში აღირიცხება შემდეგი ინფორმაცია: ფაილური სისტემის სახელწოდება, მონაცემთა დამმუშავებლისა და უფლებამოსილი პირის დასახელებები და მისამართები, მონაცემთა შენახვის ან/და დამუშავების ადგილი, მონაცემთა დამუშავების სამართლებრივი საფუძველი, მონაცემთა სუბიექტის კატეგორია, მონაცემთა კატეგორია ფაილურ სისტემაში, მონაცემთა დამუშავების მიზანი, მონაცემთა შენახვის ვადა, მონაცემთა სუბიექტის უფლების შეზღუდვის ფაქტი და საფუძვლები, ფაილურ სისტემაში განთავსებულ მონაცემთა მიმღები და მათი კატეგორიები, ინფორმაცია მონაცემთა სხვა სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციისათვის გადაცემის შესახებ და ასეთი გადაცემის სამართლებრივი საფუძველი და მონაცემთა უსაფრთხოების დაცვისათვის დადგენილი პროცედურის ზოგადი აღწერილობა.[43] ამასთან, სამინისტრო, როგორც მონაცემთა დამმუშავებელი, ვალდებულია, შეატყობინოს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს ინფორმაცია, ერთი მხრივ, ფაილური სისტემის შექმნამდე და მასში ახალი კატეგორიის მონაცემთა შეტანამდე, ხოლო, მეორე მხრივ, ფაილური კატალოგის ცვლილებისას, მისი შეტანიდან არაუგვიანეს 30 დღისა.[44] უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური ელექტრონულად აწარმოებს ფაილურ სისტემათა კატალოგების რეესტრს, აღნიშნული

[43] „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლი.
[44] იქვე, მე-20 მუხლი.

ინფორმაცია თავსდება ვებგვერდზე და საჯაროა ყველა დაინტერესებული პირისათვის. ფაილური სისტემის კატალოგისა და რეესტრის წარმოება მნიშვნელოვან როლს ასრულებს მონაცემთა დამუშავების გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულების, მასზე კონტროლისა და მონაცემთა სუბიექტის უფლებების რეალიზაციის საქმეში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამინისტროებს დაესვათ შემდეგი შეკითხვა: „აწარმოებს თუ არა თქვენი უწყება ფაილური სისტემის კატალოგს? დადებითი პასუხის გაცემის შემთხვევაში სამინისტროებს უნდა ეცნობებინათ, ინფორმაცია ფაილური სისტემის კატალოგის შექმნის შესახებ როდის შეატყობინეს სახელმწიფო ინსპექტორს, შექმნის შემდგომ შეიტანეს თუ არა ცვლილებები ფაილური სისტემის კატალოგში და ცვლილებების შეტანის თაობაზე ინფორმაცია როდის შეატყობინეს სახელმწიფო ინსპექტორს?

სამინისტროებმა ამ კითხვებზე არაერთგვაროვანი და ზოგადი ინფორმაციის შემცველი პასუხები გასცეს. კერძოდ:

1. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ მოცემულ კითხვებს არ უპასუხა;

2. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ აღნიშნა, რომ აწარმოებს ფაილური სისტემის კატალოგს, ინფორმაცია ფაილური სისტემის წარმოების თაობაზე სახელმწიფო ინსპექტორს 2015 წელს შეატყობინა და ***ინფორმაციას ანახლებს ყოველწლიურად, თუმცა მიუხედავად თხოვნისა, ფაილური სისტემის განახლების თაობაზე განახლების დროისა და თარიღის შესახებ ინფორმაცია კითხვარში არ არის მითითებული;***

3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ მიუთითა, რომ ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი აწარმოებს ფაილური სისტემის კატალოგს, რის თაობაზე სახელმწიფო ინსპექტორს ინფორმაცია მიაწოდა ორჯერ, კანონის მიღებისთანავე და 2018 წელს. რაც შეეხება ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულებს, რომელთაც დამოუკიდებლად შევსებული კითხვარი გადმოაგზავნეს, ყველამ მიუთითა, რომ არ აწარმოებს ფაილური სისტემის კატალოგს და, შესაბამისად, კითხვარში სახელმწიფო ინსპექ-

ტორის ფაილური სისტემის კატალოგის წარმოების ინფორმირებაზე კითხვაც პასუხგაუცემელია;

4. საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ მიუთითა, რომ ***ფაილური სისტემის კატალოგის შექმნასთან დაკავშირებით სახელმწიფო ინსპექტორს ინფორმაცია მიაწოდა 2014 წელს, ხოლო ფაილური სისტემის კატალოგში განხორციელებულ ცვლილებებთან დაკავშირებით სამინისტროს პასუხი არ გაუცია;***

5. საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ ამ შეკითხვებს არ უპასუხა;

6. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ***ფაილური სისტემის კატალოგების ალტერნატივად იქმნება შესაბამისი ელექტრონული სისტემები, რომლის პროცესშიც ჩართულია სახელმწიფო ინსპექტორის აპარატი*** (პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმების შემუშავების თვალსაზრისით). სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტომ, სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრმა და სსიპ - საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრმა კითხვარში მიუთითეს, რომ ცალკე ფაილური სისტემის კატალოგს არ აწარმოებენ და არ იყენებენ, ხოლო სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტომ მიუთითა ზოგადი პასუხი, რომ ინფორმაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით ატვირთულია შემდეგ ვებგვერდზე: www.catalog.pdp.ge; სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტომ კი აღნიშნა, რომ აწარმოებს ფაილური სისტემის კატალოგს, 2016 წელს მისი შექმნის შესახებ მოახდინა სახელმწიფო ინსპექტორის შეტყობინება, რაც შეეხება ფაილურ სისტემაში ცვლილებას, იგი შეიტანეს და სახელმწიფო ინსპექტორს შეატყობინეს 2017 წლის 27 ივლისს;

7. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ ფაილური სისტემის კატალოგის წარმოება დაიწყო 2014 წელს, რის შესახებაც წერილობით აცნობა სახელმ-

წიფო ინსპექტორის სამსახურს. პასუხის თანახმად, **სამინისტროს** ***კატალოგში ცვლილებები შეაქვს სისტემატიურად, საჭიროებისა-მებრ (ბოლო ცვლილება განხორციელდა 2018 წელს) და ფაილურ კატალოგში ცვლილების ელექტრონულად განხორციელების შემ-დგომ დაინტერესებული უწყების ინფორმირება ხორციელდება ავტომატურად;***

8. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ აღნიშნა, რომ აწარმოებს ფაილური სისტემის კატალოგს, ხოლო მისი შექმნის შესახებ ***სახელმწიფო ინსპექტორს აცნობა 2014 წლის დასაწყისში. ფაილურ სისტემაში ცვლილების შეტანის განხორციელებისა და ამის შესახებ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ინფორმირე-ბასთან დაკავშირებულ კითხვაზე, მიუთითა ზოგადი პასუხი: „ხორ-ციელდება პერიოდულად საჭიროებისა და მოთხოვნების გათვა-ლისწინებით.“*** აქვე უნდა აღინიშნოს, რომ როგორც სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურიდან მოწოდებულ დოკუმენტში, ასევე სამ-სახურის სპეციალურ ელექტრონულ პორტალზე https://catalog.-pdp.ge/, საგარეო საქმეთა სამინისტროს ფაილური სისტემის კატა-ლოგების თაობაზე ინფორმაცია არ იძებნება;

9. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო შემოიფარგლა ***ზოგადი პასუხით, რომ აწარმოებს ფაილური სისტემის კატალოგს.*** სსიპ - საფინასო ანალიტიკური სამსახურმა მიგვითითა, რომ ფაილური სისტემის კატალოგების შექმნის თაობაზე სახელმწიფო ინსპექ-ტორს შეტყობინება გაუგზავნა 2014 წლის 29 იანვარსა და 2014 წლის 05 დეკემბერს, რის შემდეგ ფაილური სისტემის კატალო-გებში ცვლილებები არ განუხორციელებია. სსიპ - ფინანსთა სამი-ნისტროს აკადემიამ ფაილური სისტემის კატალოგის შექმნის თაო-ბაზე სახელმწიფო ინსპექტორს აცნობა 2014 წლის 20 ოქტომბერს. ***სსიპ - ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურმა კი აღნიშნა, რომ არ აწარმოებს ფაილური სისტემის კატალოგს, მხოლოდ თანამშრომელთა პერსო-ნალური მონაცემებს აღრიცხავს ადამიანური რესურსების მარ-თვის ერთიან ელექტრონულ სისტემაში (eHRMS);***

10. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ აღნიშნა, რომ ფაილური სისტემების კატალოგები ***„პერსონალურ მონაცემთა და-***

ცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით პერიო-დულად მიეწოდება სახელმწიფო ინსპექტორს და დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიუთითა სახელმწიფო ინსპექტორის მიერ წარმოებული ფაილურ სისტემათა კატალოგების რეესტრი შემდეგ ვებგვერდზე: https://catalog.pdp.ge/.

სამინისტროებიდან მიღებული პასუხებით დგინდება, რომ ფაილური სისტემის კატალოგის წარმოება და ამ საკითხზე სახელმწიფო ინსპექტორის ინფორმირება თითქმის ფორმალურ ხასიათს ატარებს და ეს იმ პირობებში, როდესაც აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით ითვალისწინებს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას.[45] ფაილური სისტემის კატალოგის წარმოება არ შეიძლება შეფასდეს, როგორც სახელმწიფო ინსპექტორის ინფორმირების უბრალო ფორმალური პროცესი. მონაცემთა დამმუშავებლის ვალდებულებას, ფაილური სისტემის კატალოგის შექმნამდე, კანონით დადგენილ ვადებში განახორციელოს სახელმწიფო ინსპექტორის ინფორმირება, პირდაპირ უკავშირდება მონაცემთა დამმუშავებლის მოვალეობა – გაიაზროს, გაწეროს და სისტემაში მოაქციოს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების ფლობისა და დამუშავების კანონიერება. მიუხედევად იმისა, რომ ფაილური სისტემის კატალოგის თაობაზე სახელმწიფო ინსპექტორის დროულად ინფორმირება შესასრულებლად სავალდებულო ნორმაა, სამინისტროებს ჯერ კიდევ არ აქვთ გააზრებული შესაბამისი პასუხისმგებლობა და კვლავ თავს არიდებენ მათ მიერ დამუშავებული მონაცემების სრულად მითითებას ან მხოლოდ ზოგადი პასუხებით შემოიფარგლებიან.

აღსანიშნავია, რომ 2011 წლის 18 მარტიდან 2017 წლის 12 დეკემბრამდე საქართველოში ფუნქციონირებდა 16 სამინისტრო[46],

---

[45] „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლი.

[46] „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ 2011 წლის 11 მარტის საქართველოს კანონის პირველი მუხლის თანახმად, საქართველოს სამინისტროებია: ა) განათლებისა და მეცნი-

2017 წლის 12 დეკემბრიდან 2018 წლის 12 ივლისამდე – 13 სამინისტრო[47], ხოლო 2018 წლის 11 ივლისს განხორციელებული ცვლილების შესაბამისად კი დარჩა 10 სამინისტრო.[48] ის ფაქტი, რომ სამინისტროები არაჯეროვნად ახორციელებენ ან საერთოდ არ ახდენენ ფაილური სისტემის კატალოგის წარმოებისას სახელმწიფო ინსპექტორის ინფორმირებას, დგინდება იმ გარემოებითაც, რომ მინიმუმ იმ სამინისტროებს, რომელთაც 2011 წლიდან 2020 წლამდე რეორგანიზაცია შეეხოთ, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სახელმწიფო ინს-

ერების; ბ) გარემოს დაცვის; გ) ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების; დ) ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების; ე) თავდაცვის; ვ) იუსტიციის; ზ) კულტურისა და ძეგლთა დაცვის; თ) ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა; ი) საგარეო საქმეთა; კ) შინაგან საქმეთა; ლ) სოფლის მეურნეობის; მ) ფინანსთა; ნ) შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის; ო) სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა; პ) საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის; ჟ) სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა.“

[47] „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ 2017 წლის 7 დეკემბრის საქართველოს კანონის პირველი მუხლის თანახმად, საქართველოს სამინისტროებია: ა) განათლებისა და მეცნიერების; ბ) გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის; გ) ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების; დ) თავდაცვის; ე) იუსტიციის; ვ) კულტურისა და სპორტის; ზ) ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა; თ) რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის; ი) საგარეო საქმეთა; კ) სასჯელაღსრულებისა და პრობაციის; ლ) ფინანსთა; მ) შინაგან საქმეთა; ნ) შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის“.

[48] „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ 2018 წლის 11 ივლისის საქართველოს კანონის პირველი მუხლის თანახმად, საქართველოს სამინისტროებია: ა) განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის; ბ) გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის; გ) ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების; დ) თავდაცვის; ე) იუსტიციის; ვ) ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის; ზ) რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის; თ) საგარეო საქმეთა; ი) ფინანსთა; კ) შინაგან საქმეთა“.

პექტორისათვის განახლებული ფაილური სისტემის კატალოგი უნდა წარედგინათ, თუმცა ეს არ განუხორციელებიათ. კვლევის ფარგლებში ამ გარემოების დამადასტურებელი ინფორმაცია ვერცერთი უწყებიდან მივიღეთ, რის გამოც შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ სამინისტროების მიერ ფაილური სისტემის კატალოგები არ განახლებულა ან, თუ განახლდა, არ მომხდარა სახელმწიფო ინსპექტორის ინფორმირება. აქვე უნდა ითქვას, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურიდან მიღებული პასუხის თანახმად, კატალოგის ავტორი სამინისტროს მიერ ფაილური სისტემის კატალოგების რეესტრში ცვლილების განხორციელებისას, პროგრამა ავტომატურად ასახავს მას და სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ დადასტურების შემთხვევაში, პროგრამა კატალოგის შექმნის/გამოქვეყნების თარიღად საბოლოოდ (ერთ) თარიღს აფიქსირებს, რომელიც მოიცავს/გულისხმობს ცვლილების შეტანის თარიღსაც. ამდენად, მონაცემთა დამმუშავებლის მიერ ფაილურის სისტემის კატალოგის შექმნასა და მასში ცვლილებებისას დროულ ინფორმირებაზე კონტროლის ქმედითი მექანიზმი სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურსაც არ გააჩნია.

XIII. სახელმწიფო ინსპექტორის მიერ სამინისტროებში 2015–2020 წლებში განხორციელებული შემოწმებებისა და მოქალაქეთა განცხადებების განხილვის სტატისტიკა

საქართველოში პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერებაზე კონტროლს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური ახორციელებს.[49] სწორედ იმისთვის, რომ დაგვედგინა, რა პერიოდულობით აკონტროლებს და რა სახის პრობლემებს აწყდება მაკონტროლებელი ორგანო სამინისტროების მიერ განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავების კანონიერების შემოწმების პროცესში, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურიდან გამოვითხოვე და გავაანალიზე 2015-2020 წლების სტატისტიკა, ასევე ყვე-

[49] „სახელმწიფო ინსპექტორის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლი.

ლა იმ შემოწმებისა და ინდივიდუალურ საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილების ასლები, რომლებშიც მონაწილე მხარე სამინისტროები იყვნენ.

მიღებული სტატისტიკური მონაცემების თანახმად, 2015 -2020 წლის 1 აგვისტომდე პერიოდში, სამინისტროების მიერ განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავების საკითხზე, სახელმწიფო ინსპექტორმა განიხილა 8 (რვა) განცხადება და განახორციელა 10 (ათი) შემოწმება/ინსპექტირება.



5 წლის განმავლობაში მაკონტროლებელმა ორგანომ ჯამში შეისწავლა 18 შემთხვევა, საიდანაც 7 შეეხებოდა პენიტენციურ სისტემაში მონაცემების დამუშავებას, 8 – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინიტროს, 2 საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და 1 – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს. 2015-2020 წლების განმავლობაში ინსპექტორის ინიციატივით სხვა სამინისტროების შემოწმება/ინსპექტირება არ განხორციელებულა.



ინსპექტირებების სტატისტიკა წლებისა და სამინისტროების მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება:[50]

[50] **2015 წელი - 1 შემოწმება (**შინაგან საქმეთა სამინისტრო), **2016 წელს 2 შემოწმება,** (შემოწმდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო და ფინანსთა სამინისტრო); **2017 წელი - არცერთი შემოწმება არ განხორციელდა; 2018 წელი - 2 შემოწმება** (შემოწმდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო); **2019 წელი - 1 შემოწმება** (სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო); **2020 წელი - 4 შემოწმება** (სამჯერ შემოწმდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახური, ერთხელ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო).



მოქალაქეთა განცხადებებით მიმართვიანობის სტატისტიკა კი ამავე პერიოდის განმავლობაში ასეთია:



სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურიდან მიღებული გადაწყვეტილებების გაანალიზების შედეგად, სამინისტროების მიხედვით გამოიკვეთა შემდეგი ხასიათის დარღვევები:

1. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო:

ა) ორი მოქალაქის განცხადების საფუძველზე, ინსპექტორმა განიხილა პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ მონაცემების პარლამენტის წევრისათვის გადაცემის ფაქტი. აღნიშნულ საკითხზე მან დაადგინა დარღვევა, თუმცა ხანდაზმულობიდან გამომდინარე, 2015 წლის 25 დეკემბრის №1/235/2015 გადაწყვეტილებით, ინსპექტორმა მონაცემთა დამმუშავებელს აღნიშნულ ფაქტზე ვერ დააკისრა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა;

ბ) მოქალაქის განცხადების საფუძველზე, ინსპექტორმა განიხილა პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის №8 სასჯელაღსრულების დაწესებულების უსაფრთხოებისა და სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების თანამშრომელთათვის გამჟღავნების ფაქტი. განცხადების განხილვის ფარგლებში გამოთხოვილი ინფორმაციის საფუძველზე, სამართალდარღვევის ფაქტი არ დადასტურდა (ინსპექტორის 2016 წლის 15 თებერვლის №1/031/2016 გადაწყვეტილება);

გ) ინსპექტორის ინიციატივით, 2016 წლის 30 აგვისტოს დაიწყო და 2018 წელს დასრულდა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს №11 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში (არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულება) განთავსებული მსჯავრდებულების პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერების შემოწმება, მათი პირადი საქმეებისა და რეესტრების წარმოების ფარგლებში. ინსპექტორის 2018 წლის 12 იანვრის №გ-1/024/2018 გადაწყვეტილებით, შემოწმების შედეგად სამინისტროს დაევალა დაწესებულებაში არსებული ცალკეული ნაკლოვანებების აღმოფხვრა, მათ შორის, ისეთი წესის შემუშავება, რომლითაც, ერთი მხრივ, უზრუნველყოფილი იქნებოდა მონაცემთა დამუშავების კანონიერება, ხოლო მეორე მხრივ, მონაცემთა დამუშავების პროცესში მონაცემთა უსაფრთხოების დასაცავად განისაზღვრებოდა ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები. ასევე,

სამინისტროს დაევალა დამუშავების მიზნობრიობის განსაზღვრა და სამართლებრივი საფუძვლების იდენტიფიცირება. აღნიშნული ნაკლოვანებების აღმოფხვრისა და გასატარებელი ღონისძიებისათვის სამინისტროს დაუდგინდა 60 დღიანი კალენდარული ვადა.

2. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სპეციალური პენიტენციური სამსახური:

ა) მოქალაქის შეტყობინების საფუძველზე განხორციელდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების სოციალურ ქსელში გასაჯაროების გზით დამუშავების კანონიერების შესწავლა და აღნიშნულ ფაქტზე, ინსპექტორის 2019 წლის 12 იანვრის №გ-1/186/2019 გადაწყვეტილებით, სპეციალური პენიტენციური სამსახური დაჯარიმდა 1000 ლარით;

ბ) ინსპექტორის ინიციატივით, განხორციელდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სპეციალური პენიტენციური სამსახურის №5 პენიტენციურ დაწესებულებაში დედასთან ერთად მცხოვრებ 3 წლამდე არასწრულწლოვანთა პერსონალური მონაცემების კანონიერების შესწავლა. შემოწმების შედეგად ინსპექტორმა 2020 წლის 31 იანვარს მიიღო №გ-1/046/2020 გადაწყვეტილება, რომლითაც სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს მიეცა რიგი რეკომედაციები, მათ შორის, დამუშავების მიზნობრიობის განსაზღვრა, სამართლებრივი საფუძვლების იდენტიფიცირება, მონაცემთა გადაცემის შემთხვევების აღრიცხვა და სხვა;

გ) ინსპექტორის სოციალური ქსელით მიღებული შეტყობინების საფუძველზე განხორციელდა სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ სოციალურ ქსელში პირის სხვა პერსონალურ მონაცემებთან ერთად, მისი ბრალდებისა და ჯანმრთელობის შესახებ განსაკუთრებული კატეგორიიის მონაცემების გასაჯაროების გზით დამუშავების კანონიერების შესწავლა. შემოწმების შედეგად, ინსპექტორის 2020 წლის 13 მარტის №გ-1/096/2020 გადაწყვეტილებით, სპეციალური პენიტენციური სამსახური გამეორებით

ჩადენილი სამართალდარღვევისთვის დაჯარიმდა 5000 ლარით და დაევალა სოციალურ ქსელსა და ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული იმ პერსონალური მონაცემების წაშლა ან დეპერსონალიზაცია, რომელიც კანონდარღვევით დამუშვდა;

დ) ინსპექტორის ინიციატივით განხორციელდა სპეციალური პენიტენციური სამსახურის ვებგვერდზე და სოციალურ ქსელში პირის ნასამართლობის შესახებ მონაცემების გასაჯაროების კანონიერების შესწავლა და აღნიშნულ ფაქტზე, ინსპექტორის 2020 წლის 23 მარტის №გ-1/101/2020 გადაწყვეტილებით, მონაცემების საფუძვლის გარეშე დამუშავებისათვის, სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს დაეკისრა ჯარიმა 5000 ლარის ოდენობით.

3. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო:

ა) მოქალაქის განცხადების საფუძველზე, ინსპექტორმა შრომითი ურთიერთობის დამყარების მიზნით შსს-ს მიერ კანდიდატის და კანდიდატის ოჯახის წევრების შესახებ პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერება შეისწავლა. გამოთხოვილ იქნა სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაცია. შემოწმების შედეგად, ინსპექტორის 2015 წლის 26 თებერვლის №1/012/2015 გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ მონაცემთა დამუშავება სცდებოდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედების ფარგლებს;

ბ) მოქალაქის განცხადების საფუძველზე ინსპექტორმა შსს-ს საპატრულო პოლიციის მიერ მეთადონით ჩანაცვლების პროგრამაში პირის მონაწილეობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საკითხი შეისწავლა. 2015 წლის 29 ივნისის №1/076/2015 გადაწყვეტილებით, ინსპექტორმა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაავალა ე.წ. მეთადონით ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამაში მონაწილე პირების მონაცემების დაბლოკვა და ამ მონაცემების დამუშავება მხოლოდ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 და მე-6 მუხლებით განსაზღვრულ გამონაკლის შემთხვევებში. ასევე, ე.წ. მეთადონით ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამაში მონაწილე პირების მონაცემების შემცველი ინფორმაციის შესაბამის ბაზებში არსებობის აუცილებლობის შეფასება და მონაცემების დამუშავება მხოლოდ

შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის არსებობის პირობებში. ამავე გადაწყვეტილებით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაევალა პერსონალური მონაცემების ნებისმიერი ფორმით გამჟღავნების ფაქტების შესახებ ინფორმაციის აღრიცხვა, კერძოდ, რომელი მონაცემი, ვისთვის, როდის და რა სამართლებრივი საფუძვლით იქნა გამჟღავნებული. სამინისტროს ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და გატარებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის წარდგენისთვის განესაზღვრა ვადა არაუგვიანეს 2015 წლის 10 მაისისა;

გ) მოქალაქის წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე განხორციელდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე www.police.ge ნასამართლობისა და სხა პერსონალური მონაცემების საფუძვლების გარეშე დენადად, მუდმივ რეჟიმში დამუშავების კანონიერების შესწავლა. ინსპექტორის 2016 წლის 23 თებერვლის №1/040/2016 გადაწყვეტილებით, ამ ფაქტზე სამინისტროს დაეკისრა ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით;

დ) მოქალაქემ მართვის მოწმობის აღდგენის მიზნით მიმართა სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს, რომელმაც მოსთხოვა 2007 წელს მის მიმართ დამდგარი გამამტყუნებელი განაჩენის დამოწმებული ასლის წარდგენა. განცხადების განხილვის მიმდინარეობისას სამინისტრომ საკუთარი ინიციატივით შეიწავლა და სააგენტოს შეუზღუდა სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მინიჭების, გაუქმების, შეჩერებული, ჩამორთმეული ან შეწყვეტილი მართვის უფლების აღდგენის მიზნებისთვის შსს საინფორმაციო ბანკის მონაცემებთან წვდომა. ინსპექტორის 2019 წლის 15 მარტის №1/088/2018 გადაწყვეტილებით, აღნიშნულ ფაქტზე შინაგან საქმეთა სამინისტროს დაეკისრა გაფრთხილება.

ე) ინსპექტორმა შეამოწმა მოქალაქის გაქარწყლებული ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ ინფორმაციის შენახვისა და სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის პატრულ-ინსპექტორებისთვის ხელმისაწვდომობის ფაქტი. 2019 წლის 30 აგვისტოს №გ-1/296/2019 გადაწყვეტილებით, ინსპექტორმა შინაგან საქმეთა სამინისტრო

სამართალდამრღვევად ცნო ერთიან საინფორმაციო ბანკში აღრიცხული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების და გაქარწყლებული ნასამართლობის მონაცემების შენახვისთვის, დააჯარიმა 2000 ლარით და დაავალა, ამ მოქალაქის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ მონაცემების ერთიანი საინფორმაციო ბანკიდან წაშლა ან პირის იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით შენახვა, მათ შორის, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ეკიპაჟის ავტომანქანაში დამონტაჟებულ ბორტკომპიუტერში (INFO.PATROL.MIA.GOV.GE);

ვ) ინსპექტორის ინიციატივით განხორციელდა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის დროს პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერების შემოწმება. შემოწმების შედეგად, 2015 წლის 20 თებერვლის №გ-1/006/2014 გადაწყვეტილებით, სამინისტროს დაევალა ცალკეულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა, მათ შორის დამუშავების მიზნობრიობის განსაზღვრა და სამართლებრივი საფუძვლების იდენტიფიცირება;

ზ) ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ (IDFI) წარმომადგენელმა შეატყობინების საფუძველზე განხორცელდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდის მეშვეობით საქართველოს პრეზიდენტის ოჯახის წევრთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემების გასაჯაროების ფაქტის კანონიერების შესწავლა. შემოწმების შედეგად, სამინისტრო ცნობილ იქნა სამართალდარმღვევად და ინსპექტორის 2016 წლის 10 ოქტომბრის №გ-1/293/2016 გადაწყვეტილებით დაეკისრა ჯარიმის გადახდა 1000 ლარის ოდენობით;

თ) ინსპექტორის ინიციატივით განხორციელდა სამინისტროს მიერ 2017 წლის 26 დეკემბერს ოფიციალური ვებ-გვერდის მეშვეობით პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ მონაცემების გასაჯაროების კანონიერების შესწავლა და 2018 წლის 22 მარტის №1/175/2018 გადაწყვეტილებით, სამინისტროს დაევალა განცხადებაში გამოქვეყნებული განსაკუთრებული კატეგორიის ინფორმაციის წაშლა და ჯანმრთელობის შემცველი ინფორმაციის განადგურება.

4. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო:

ა) ინსპექტორს მიმართა 404-მა მოქალაქემ, რომლებიც ჩართულნი იყვნენ ა(ა)იპ „სამედიცინო, სოციალურ ეკონომიკურ და კულტურულ საკითხთა ცენტრ-ურანტის“ ბაზაზე არსებულ ნარკომანიის ჩანაცვლებითი თერაპიის სახელმწიფო პროგრამაში და თხოვდნენ ამ კონფიდენციალური ინფორმაციის ოჯახის წევრებისა და სხვა პირებისათვის ხელმისაწვდომობის საკითხის შესწავლას. 2015 წლის 15 აგვისტოს №1/237/2016 გადაწყვეტილებით ინსპექტორმა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ცნო სამართალდარმღვევად და დააკისრა ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით. ასევე, დაავალა კანონიერი საფუძვლის გარეშე შეგროვებული მოანცემების წაშლა-განადგურება;

ბ) ინსპექტორის ინიციატივით, 2019 წლის 01 ივლისიდან 03 დეკემბრის ჩათვლით, განხორციელდა სამინისტროს „ჯანმრთელობის შესახებ ელექტრონული ჩანაწერების სისტემა EHR“-ში არსებულ პაციენტთა პერსონალურ მონაცემებზე წვდომის კანონიერების შესწავლა. ინსპექტორის 2020 წლის 07 თებერვლის №1/055/2020 გადაწყვეტილებით, მონაცემთა წვდომისათვის დადგენილი წესების დარღვევა არ დადგინდა და სამინისტროს მიეცა მხოლოდ რეკომენდაცია სისტემაში შესასვლელად ავტორიზაციის ორდონიანი მექანიზმის გამოყენების შესახებ.

5. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო:

ა) პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ინიციატივით განხორციელდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მიერ ოფიციალური ვებგვერდის მეშვეობით პერსონალური, მათ შორის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავების კანონიერების შესწავლა. შემოწმების შედეგად 2016 წლის 31 ოქტომბრის №1/317/2016 გადაწყვეტილებით ინსპექტორმა სამინისტრო ცნო სამართალდარმღვევად და დააკისრა ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით.

XIV. რეკომენდაციები

ჩატარებული კვლევისა და ანალიზის ფონზე შემუშავდა შემდეგი მნიშვნელოვანი რეკომენდაციები:

1. სამინისტროებმა უნდა შექმნან პერსონალურ მონაცემთა დამუშავება/დაცვაზე პასუხისმგებელი ცაკლე სტრუქტურული ერთეულები, ხოლო იმ სამინისტროებში, სადაც აღნიშნული უკვე ფუნქციონირებს (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო და საქართველოს თავდაცვის სამინისტრო), მისი ეფექტიანი საქმიანობისთვის, მიზანშეწონილია გაიზარდოს იქ დასაქმებულ თანამშრომელთა რაოდენობა იმის გათვალისწინებით, რა ოდენობისა და მოცულობის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავება უწევთ მათ;

2. სამინისტროებმა უნდა შეიმუშაონ შიდა პოლიტიკის დოკუმენტი, რომელშიც დეტალურად იქნება გაწერილი განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავებისა და დაცვის საკითხები, მათ შორის, მონაცემთა დამუშავების მიზანი, საფუძვლები, მონაცემებზე წვდომის წესები, მონაცემთა უსაფრთხოების (მათ შორის, მონაცემთა მიმართ ქმედებების აღრიცხვის) მექანიზმები, მონაცემთა შენახვის ვადები და შენახვის ვადის გასვლის შემდგომ ამ მონაცემების ავტომატურად წაშლის ან დეპერსონალიზაციის მექანიზმები. ასევე მნიშვნელოვანია, დოკუმენტით დასაქმებულთა მიერ განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებზე არასანქცირებული წვდომის შემთხვევებში მკაფიო და ადეკვატური პასუხისმგებლობის ზომები განისაზღვროს;

3. სამინისტროებმა უნდა განაახლონ ფაილური სისტემის კატალოგები და სახელმწიფო ინსპექტორს დროულად მიაწოდონ ინფორმაცია ფაილური სისტემის კატალოგის წარმოებასთან დაკავშირებით. თავის მხრივ, მნიშვნელოვანია, სახელმწიფო ინსპექტორმა განახორციელოს ფაილური სისტემის ელექტრონული კატალოგის რეესტრის იმგვარად მოდიფიცირება, რომ მარტივად იყოს შესაძლებელი მონაცემთა დამმუშავებლების კონტროლი, მათზე არსებული ინფორმაციის ანალიზი, მათ შორის, შესაძლებელი იყოს მათ მიერ წარდგენილი ფაილური სისტემის კატალოგის დროისა და

თარიღის მოძიება. ეს ხელს შეუწყობს კონკრეტულ უწყებაში არსებული რისკების სათანადო შეფასებასა და ინსპექტორის სამსახურის მიერ განსახორციელებელი ინსპექტირებების პრიორიტეტულად დაგეგმვას;

4. სამინისტროებმა უნდა გააძლიერონ ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომები მონაცემთა უსაფრთხოების დასაცავად და უნდა დანერგონ განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავებაზე მონიტორინგის ეფექტიანი სისტემა, მათ შორის, ორდონიანი უსაფრთხოების სისტემები, სამინისტროების სპეციფიკის გათვალისწინებით;

5. უნდა გააძლიერდეს დასაქმებული პირების ცნობიერების ამაღლება, პერმანენტულად უნდა განხორციელდეს თანამშრომლების მომზადება განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება/დაცვის საკითხებისა და სხვა პრიორიტეტების გათვალისწინებით.

დანართი №1

კითხვარი

1. გთხოვთ მიგვითითოთ რამდენი პირია დასაქმებული სამინისტროში (მონაცემი უნდა მოიცავდეს, როგორც სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფებში, ასევე სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებებსა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში საშტატო ერთეულსა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობას ჯამურად).

2. გთხოვთ, შემოხაზოთ, ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ყველა ის განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემი, რომელსაც ამუშავებს თქვენი სამინისტრო:

- ❖ პირის რასობრივ კუთვნილებასთან დაკავშირებული მონაცემი;
- ❖ პირის ეთნიკურ კუთვნილებასთან დაკავშირებული მონაცემი;
- ❖ პირის პოლიტიკურ შეხედულებებთან დაკავშირებული მონაცემი;
- ❖ პირის რელიგიურ მრწამსთან დაკავშირებული მონაცემი;
- ❖ პირის ფილოსოფიურ მრწამსთან დაკავშირებული მონაცემი;
- ❖ პირის პროფესიულ კავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებული მონაცემი;
- ❖ პირის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მონაცემი;
- ❖ პირის სქესობრივ ცხოვრებასთან დაკავშირებული მონაცემი;
- ❖ პირის ნასამართლობასთან დაკავშირებული მონაცემი;
- ❖ პირის ადმინისტრაციულ პატიმრობასთან დაკავშირებული მონაცემი;
- ❖ პირისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდებასთან დაკავშირებული მონაცემი;

❖ პირთან საპროცესო შეთანხმების დადებასთან დაკავშირებული მონაცემი,

❖ პირის განრიდებასთან დაკავშირებული მონაცემი;

❖ დანაშაულის მსხვერპლად აღიარებასთან დაკავშირებული მონაცემი;

❖ დაზარალებულად ცნობასთან დაკავშირებული მონაცემი;

❖ ბიომეტრიული მონაცემი, როგორიცაა თითის ანაბეჭდი, ტერფის ანაბეჭდი, თვალის ფერადი გარსი, თვალის ბადურის გარსი, თვალის ბადურის გამოსახულება ***(აღნიშნული ველის მონიშვნის შემთხვევაში, გთხოვთ ხაზი გაუსვათ ან დააკონ-კრეტოთ ის ბიომეტრიული მონაცემი, რომელსაც ამუშავებს თქვენი უწყება).***

❖ გენეტიკური მონაცემები, ანუ სუბიექტის უნიკალური და მუდმივი მონაცემი გენეტიკური მემკვიდრეობის ან/და დნმ-ის კოდის შესახებ, რომლითაც შესაძლებელია ამ პირის იდენტიფიცირება. ***(აღნიშნული ველის მონიშვნის შემთხვევაში, გთხოვთ ხაზი გაუსვათ ან დააკონკრეტოთ ის გენეტიკური მონაცემი, რომელსაც ამუშავებს თქვენი უწყება).***

3. გთხოვთ შემოხაზოთ, ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელი საშუალებით ამუშავებს სამინისტრო განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალურ მონაცემებს?

❖ ავტომატური საშუალებით;

❖ ნახევრად ავტომატური საშუალებით;

❖ არაავტომატური საშუალებებით.

4. გთხოვთ, შემოხაზოთ, ქვემოთ ჩამოთვლილთან ყველა ის საფუძველი, რომელზე დაყრდნობითაც ამუშავებს სამინისტრო განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალურ მონაცემებს ?

❖ სუბიექტის წერილობითი თანხმობა;

❖ შრომითი ვალდებულებების და ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე, მათ შორის, დასაქმების თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად;

❖ მონაცემთა სუბიექტის ან მესამე პირის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად (როდესაც მონაცემთა სუბიექტს ფიზიკურად ან სამართლებრივად უნარი არა აქვს, მონაცემთა დამუშავებაზე თანხმობა განაცხადოს);

❖ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის, ჯანმრთელობის დაცვის ან დაწესებულების (მუშაკის) მიერ ფიზიკური პირის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, აგრეთვე ეს აუცილებელია ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მართვის ან ფუნქციონირებისათვის;

❖ მონაცემთა სუბიექტმა საჯარო გახადა მის შესახებ მონაცემები მათი გამოყენების აშკარა აკრძალვის გარეშე;

❖ პოლიტიკური, ფილოსოფიური, რელიგიური ან პროფესიული გაერთიანების ან არაკომერციული ორგანიზაციის მიერ ლეგიტიმური საქმიანობის მიზნით იმ წევრების ან პირების მონაცემთა დამუშავება რომლებსაც მუდმივი კავშირი მუდმივი კავშირი აქვთ ამ გაერთიანებასთან/ორგანიზაციასთან;

❖ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა პირადი საქმეებისა და რეესტრების წარმოების, მსჯავრდებულის მიმართ მის მიერ სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის ან/და მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლებასთან და მისთვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლასთან დაკავშირებული საკითხების განხილვის მიზნით მონაცემების დამუშავება;

❖ „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი აქტების აღსრულების მიზნით;

❖ მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის, დანაშაულის პრევენციის ღონისძიებების განხორციელებისა და არასრულწლოვანთა რეფერირების პროცესში კოორდინაციის მიზნით;

❖ „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში;

❖ მიგრაციის მონაცემთა ერთიანი ანალიტიკური სისტემის ფუნქციონირებისათვის;

❖ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა განათლების უფლების რეალიზების მიზნით;

❖ „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული საკითხის განხილვის მიზნით, რაც გულისხმობს შემაკავებელი და დამცავი ორდერების გამოცემის მოთხოვნის უფლებას;

❖ მათი გამოყენების აშკარა აკრძალვის გარეშე, თავად სუბიექტის მიერ გასაჯაროებული მონაცემი

❖ სხვა საფუძვლით ***(ამ პუნქტის მონიშვნის შემთხვევაში, გთხოვთ დააკონკრეტოთ მონაცემთა დამუშავების საფუძველი)***

_____

_____

_____

_____

_____

5. რა ვადით ინახავს სამინისტრო მის მიერ დამუშავებულ განსაკუთრებულ კატეგორიის პერსონალურ მონაცემებს?

_____

_____

6. გთხოვთ, შემოხაზოთ, არსებობს თუ არა სამინისტროში პერსონალურ მონაცემთა დამუშავება/დაცვის მარეგულირებელი რაიმე შიდა სამართლებრივი აქტი (ბრძანება, ინსტრუქცია, დებულება)?

❖ დიახ

❖ არა

დადებითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ, მიუთითოთ კონკრეტული დოკუმენტის დასახელება, მისი მიღების დრო, ასევე, მოგვაწოდოთ მისი ქსეროასლი ან ელექტრონული ვერსია

_____
_____
_____
_____
_____

7. გთხოვთ, შემოხაზოთ, არსებობს თუ არა სამინისტროში ცალკე სტრუქტურული ერთეული, რომელიც ახორციელებს განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალურ მონაცემთა დამუშავება/დაცვაზე მონიტორინგს?

- ❖ დიახ
- ❖ არა

დადებითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ, ასევე მიუთითოთ შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის დასახელება, იქ დასაქმებულ მოხელეთა რაოდენობა და ასევე, განმარტოთ მხოლო ეს ერთე-ულია ცენტრალიზებულად პასუხისმგებელი სამინისტროში განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავებაზე, თუ სამინისტროში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებებსა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებსაც აქვთ ცალკე სტრუქტურული ერთეული, რომელიც ახორციელებს აღნიშნულ მონაცემების დამუშავება/დაცვაზე მონიტორინგს. უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ, მიუთითოთ ის სტრუქტურული ერთეული, რომელიც ახორციელებს აღნიშნულ ფუნქციას

_____
_____
_____
_____
_____
_____

8. გთხოვთ, შემოხაზოთ, განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების გამჟღავნების შემთხვევაში ახორციელებს თუ

არა და, ამასთან, რა ფორმით ახორციელებს სამინისტრო გამ-ჟღავნებული მონაცემების რეგისტრაციას

- ❖ დიახ, მატერიალურად;
- ❖ დიახ, ელექტრონულად;
- ❖ დიახ, მატერიალურადაც და ელექტრონულადაც;
- ❖ არა, არ ახორციელებს რეგისტრაციას
- ❖ სხვა ფორმით (ამ შემთხევაში, გთხოვთ დააკონკრეტოთ)

_____

_____

_____

დადებითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ, ასევე, შემოხაზოთ ქვე-მოთ ჩამოთვლილთაგან ყველა ის პუნქტი, რომელთა რეგისტრა-ციასაც მონაცემების გამჟღავნების შემთხვევაში ახორციელებს სამინისტრო

- ❖ გამჟღავნებული მონაცემის სახეობა;
- ❖ იმ სუბიექტის მონაცემები ვისზეც მოხდა გამჟღავნება;
- ❖ გამჟღავნების დრო;
- ❖ გამჟღავნების საფუძველი;
- ❖ სხვა (ამ პუნქტის მონიშვნის შემთხვევაში, გთხოვთ დაა-კონკრეტოთ)

_____

_____

_____

_____

_____

9. გთხოვთ, მიუთითოთ, რა სახის ორგანიზაციულ და ტექნიკურ ზომებს ახორციელებს სამინისტრო მონაცემების შემთხვევითი და უკანონო განადგურების, შეცვლის, გამჟღავნების, მოპოვების, ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისა და შემ-თხვევითი/უკანონო დაკარგვისაგან თავის დაცვის მიზნით?

_____

_____

_____

_____

10. აწარმოებს თუ არა სამინისტრო ფაილური სისტემის კატა-ლოგს?

- ❖ დიახ
- ❖ არა

გთხოვთ, დადებითი პასუხის შემთხვევაში, შეავსოთ ასევე ქვემოთ ჩამოთვლილი პუნქტები

- ❖ *ფაილური სისტემის კატალოგის შექმნის თაობაზე ინფორ-მაცია როდის შეატყობინეთ სახელმწიფო ინსპექტორს?*

- ❖ *ფაილური სისტემის კატალოგის შექმნის შემდგომ როდის შეიტანეთ ცვლილება ფაილური სისტემის კატალოგში?*

- ❖ *ფაილური კატალოგის ცვლილების განხორციელების თაობაზე როდის აცნობეთ სახელმწიფო ინსპექტორს?*